საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№172 (12 242)

24 ივლისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

EYOF BELGRADE 2007

# მედლების წვიმისა და წვიმის მოლოდინში



კახა ბერიძე
ბელგრადიდან

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს მეხუთედ ვესწრები და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე აღვნიშნავ, რომ ასეთი აუტანელი კლიმატური პირობები არსად არ მახსენდება. ბელგრადი დუღს, დელეგაციათა უმრავლესობას ღამით აივნებზე სძინავს, ოდნავი შვება რომ იგრძნოს, მაგრამ ამაოდ. ჰაერი არ იძვრის, ფოთოლიც კი არ ირხევა. ორშაბათს დილით სოფელში ხმა დაირხა, 24 ივლისიდან იწვიმებს და ტემპერატურა 10 გრადუსით დაეცემაო. უნდა ნახოთ ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ ყველა რა გაბრწყინებული სახით დადის - გაიგე, ხვალ იწვიმებს და აგრილდება! - ოლიმპიურ სოფელში სხვა სალაპარაკო თემა არ არსებობს.

გუშინდელი დღე (23 ივლისი, ორშაბათი) საქართველოს გუნდისთვის სპორტული თვალსაზრისით არცთუ ისე დატვირთული იყო. სამწუხაროდ, ასპარეზობის პირველი დღე ჩვენთვის უიღბლო გამოდგა. სოფლიდან 9 კილომეტრით დაშორებულ "ტამსაჯანის" საწყლოსნო ცენტრში 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში **გიორგი მთვრალაშვილის** დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. მან 2.19.91 დრო აჩვენა, რაც 16 საუკეთესოში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. ამისთვის საჭირო დრო 2.15.69 იყო. როგორც მწვრთნელმა, **გიორგი აბზიანიძემ** გვითხრა, ამას წინათ ტრაბზონის შავი ზღვის აუზის თამაშებზე მთვრალაშვილმა ეს შედეგი აჩვენა, მაგრამ ბელგრადში არ გაუმართლა. საბოლოოდ იგი 30 მონაწილეს შორის 24-ე იყო. სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაიშვილმა** ჩვენი მოცურავე გაამხნევა და მომავალში წარმატებები უსურვა.

9




კალათბურთი. ეროვნული ნაკრები ბულგარეთის ტურნირზე

# -1 ფაჩულიათი, -32 უფაჩულიოდ

23 ივლისი, სოფია

**ბულგარეთი–საქართველო 97:65**

24:24, 13:12, 26:15, 34:14

საქართველო: **ცინცაძე** (32 წთ, 3 ქ, 5 მ, 3 პ, 4 შ, 1 ჩ), **მ. მარკოიშვილი** (29 წ, 15 ქ, 6 მ, 1 შ, 3 ჩ, 1 დ), **ა. ბოისა** (26 წთ, 3 მ, 1 პ), **ნაცვლიშვილი** (26 წთ, 8 ქ, 4 მ, 1 ჩ, 3 შ, 1 პ), **ფაჩულია** (20 წთ, 21 ქ, 3 მ, 1 პ, 1 ჩ, 3 შ, 5 ფ), **უგრეხელიძე** (24 წთ, 9 ქ, 5 მ, 1 შ), **გამყრელიძე** (23 წთ, 7 ქ, 3 მ, 1 შ, 2 პ), **ბაბიაშვილი** (10 წთ, 2 ქ, 1 მ, 1 შ, 5 ფ), **გ. მარკოიშვილი** (5 წ, 1 შ), **ტულუში** (4 წთ, 2 პ), **ლეჟავა** (1 წთ)

ბულგარეთის დედაქალაქში გუშინ დაიწყო "ვივატელის თასის" გათამაშება, სადაც საქართველოსკალათბურთელთა ეროვნული ნაკრები ასპარეზობს. პირველივე მატჩში, მასპინძლებთან მოგვიწია ბრძოლამ. ბულგარეთი-საქართველოს მატჩი ჩვენთვის ორმაგად საინტერესო იყო. ჯერ ერთი, უნდა გამოჩენილიყო, როგორ ფორმაში ხვდება გუნდი სეზონს და მეორეც, ნაკრების ახალ მწვრთნელს, **კენ შილდსს**, დებიუტი ჰქონდა ახალ თანამდებობაზე.

სამწუხაროდ, შილდსს მუშაობა ფორსმაჟორულ სიტუაციაში უწევს. გუნდმა ბულგარეთის ტურნირამდე, ერთი კვირაც ვერ ივარჯიშა და ამას გარდა, ერთბაშად სამი წამყვანი კალათბურთელი აკლია - **ვლადიმერ ბოისა, ტაირონ ელისი** და **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** მხოლოდ ბულგარეთის ტურნირის შემდეგ იქნებიან შილდსის განკარგულებაში. მიუხედავად ამისა, პირველ ტაიმში, საქართველოს ნაკრები ღირსეულად ეთამაშა ბულგარელებს.

კენ შილდსმა, სასტარტო ხუთეულში დააყენა **გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ანატოლი ბოისა, ვახტანგ ნაცვლიშვილი** და **ზაზა ფაჩულია**, დანარჩენი კალათბურთელებიდან კი თითქმის ყველას, შეძლებისდაგვარად, თანაბრად გადაუნაწილა სათამაშო დრო. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, მოედანზე არ გამოჩენილა მხოლოდ **გიორგი შერმადინი**.

პირველი ტაიმი აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში მიილია. საწყისი მეოთხედი ფრედ დამთავრდა, შესვენების შემდეგ კი მასპინძლები მხოლოდ მინიმალური სხვაობით აგებდნენ. თუმცა მერე ფაჩულიამ ხუთი პერსონალური შენიშვნა მიიღო, ნაადრევად დატოვა მოედანი და თუ რას ნიშნავს იგი გუნდისთვის, დასკვნით ოცწუთიან მონაკვეთში ნათლად გამოჩნდა. ჩვენი გუნდის უდავო ლიდერის თამაშიდან გასვლის შემდეგ, სლავებმა გვარიანად გაილაღეს და ოცდათორმეტქულიანი სხვაობით იმარჯვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ფაჩულიამ მხოლოდ ოცი წუთი ითამაშა, თანაგუნდელთაგან მაინც საუკეთესო იყო. ორივე გუნდიდან მას მხოლოდ **იორდან ბოზოვმა** აჯობა, რომელმაც ზაზაზე ორით მეტი, 23 ქულა ჩააგდო...

ახლა კი გადავხედოთ სტატისტიკას. საქართველოს ნაკრებმა ჩააგდო 40-დან 22 ორქულიანი, 19-დან 4 სამქულიანი და 13-დან 9 ჯარიმა. სამივე კომპონენტში, პროცენტულად, მასპინძლებმა გვაჯობეს. სამაგიეროდ, მათზე ორით მეტი - 30 მოხსნა დავაგროვეთ. მთლიანობაში, ბულგარეთის გუნდური მაჩვენებლების კოეფიციენტი იყო 113, ჩვენი კი მხოლოდ 61.

მატჩის შემდეგ, კენ შილდსის თანაშემწემ **დავით უსტიაშვილმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: - *პირველ ტაიმში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, ვიგებდით კიდეც. თუმცა, ბოლო ორ პერიოდში, გუნდს დაღლა დაეტყო, რადგან ბულგარეთში გუშინ ჩამოვედით და ბიჭებმა ხეირიად დასვენება ვერ მოასწრეს. ამას გარდა, ზაზა ფაჩულიამ მხოლოდ ოცი წუთი ითამაშა, რადგან ხუთი პერსონალური შენიშვნა მისცეს. ასევე ხუთი ფოლი, ოღონდ ათ წუთში მიიღო ზვიად ბაბიაშვილმა. საკმაოდ ცუდად ვისროლეთ სამქულიანები და მეტოქეზე გაცილებით მეტჯერ დავჯარიმდით. მასპინძლებმა ჩვენზე თითქმის სამჯერ მეტი საჯარიმო ისროლეს. წინ მაკედონიასა და დანიასთან შეხვედრები გვაქვს, რომლებსაც უფრო დასვენებულები შევხვდებით, დღეს დაშვებულ შეცდომებსაც გავაანალიზებთ და უფრო კარგ თამაშს ვაჩვენებთ. მთლიანობაში, ჩვენი მიზანი ხომ ოფიციალური მატჩებისთვის თამაშის დახვეწა და კალათბურთელთა ოპტიმალურ ფორმაში შესვლაა.*

**ტურნირის მეორე მატჩს საქართველოს ნაკრებ დღეს, თბილისის დროით 20 საათზე გამართავს მაკედონიის წინააღმდეგ.**

**კობა ხატისაშვილი**




ზაზა ფაჩულია (7) ბულგარელების წინააღმდეგ

პლაჟბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# გშტაადი, გეორგია და საქართველო



ბესიკ ჯანგავაძე
გშტაადიდან

გშტაადი შვეიცარიის ზამთრის საკურორტო დაბაა. დაახლოებით ისეთი, როგორიც ჩვენი ბაკურიანი. აქ ნანახმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არ იფიქროთ, ამ მართლაც თვალწარმტაცი მხარის სილამაზეზე მოგითხრობდეთ. არა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საანენის მხარე, სადაც გშტაადი მდებარეობს, მთლიანად პლაჟის ფრენბურთით ცხოვრობს.

თავად განსაჯეთ, გშტაადში მოსახლეობის რაოდენობა 7 ათას კაცს არ აღემატება. პლაჟბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის საყურებლად კი მსოფლიოს სხადასხვა კონტინენტიდან, საანენელებს 100 ათასამდე გულშემატკივარი შემოესია. ცხადია ეს მასპინძლებს სანანებელი არაფრით გაუხდებათ. პირიქით, მთელი ეს მხარე ტურიზმით ცხოვრობს და თითქმის ყოველი მესამე შენობა სასტუმროა. თუმცა ეს საკმარისი სულაც არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ყველა სტუმარი კომფორტულად მიელოთ. ღია ცის ქვეშ, რომ არავინ დარჩენილიყო, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა, დაბის განაპირას, ტყესთან ახლოს, კარვები დასცეს. კარავი უძახე და ფასი ორ ვარსკვლავიან სასტუმროსას არაფრით ჩამოუვარდება. ერთი სიტყვით, ხეირობენ გშტაადელები და კარგ გუნებაზეც არიან. სტუმრებს მრავალფეროვან, კულტურულ გასართობ პროგრამასაც სთავაზობენ. ხალხი ისეთია, როგორც მთიელებს შეეფერებათ. ერთი შეხედვით კუშტი, მაგრამ იმავე დროს ძალიან გულღია და თბილი, ყველა მზადაა, საჭიროების შემთხვევაში დახმარების ხელი უანგაროდ გამოგიწოდოს. და თუ შეგნიშნეს, რომ უცხოელი ხარ, თავიანთივე სულგრძელობით კმაყოფილებს სახე ბადრი მთვარესავით უბრწყინავთ.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, სად სამთო ზამთრის კურორტი და სად პლაჟის ფრენბურთი. ყოველივე გშტაადის მკვიდრის, შვეიცარიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფრენბურთელის **ერიკა ჰერციგის** ბრალია. თავიდანვე აქ მსოფლიო ტურის ეტაპების გამართვა სწორედ მისი ინიციატივა იყო და იმდენს მიაღწია, მსოფლიო ფრენბურთის მამებს მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის უფლებაც გამოსტყუა.

9

ყაზბეგი

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge




გიორგი სეთურიძე

# სეთურიძის ტრავმა ჩვენთვის კატასტროფაა

ეს უილბლობაც არის და მეტიც. იენის "კარლ ცაისთან" გაფორმებული კონტრაქტის შემდეგ ორ დღეში **გიორგი სეთურიძე** "მაგდებურგთან" საკონტროლო მატჩში დაშავდა. ეს იყო გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე გუშინ მთავარი თემა.

"კარლ ცაისმა" 2:1 მოიგო, გიორგი კი მეტოქესთან შეჯახებისას დაშავდა. მას მცველმა ფეხი პირდაპირ მუხლში ჩაარტყა და მძიმე ტრავმით ქართველი მოედნიდან გაიყვანეს.

*"საკონტროლო მატჩში გამარჯვება სეთურიძის ტრავმით გაუფერულდა. ქართველი მეორე ტაიმის შუაში დაამტვრიეს. წინასწარი შეფასებით, მას ჯვარედინი იოგები გაუწყდა. "კარლ ცაისის" მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ ნოიბარტმა მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა: "გავიმარჯვეთ და ეპიზოდურად ლამაზადაც ვითამაშეთ, მაგრამ ეს ყველაფერი სეთურიძის ტრავმით გაუფასურდა. მისი ტრავმა გუნდისთვის კატასტროფაა"*, - წერს კლუბის ვებგვერდი.

თბილისში იმყოფება **გიორგი ონიანი**, რომელიც გერმანიაში სამუშაო ვიზას ელის. უამისოდ "კარლ ცაისი" ონიანს განაცხადში ვერ შეიყვანს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ლოკომოტივი სვლას უმატებს

თბილისის "ლოკომოტივი" სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. გუნდმა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა - თბილისის "დინამოსთან" (1:4), რუსთავის "ოლიმპთან" (0:2 და 1:1), "ვიტ ჯორჯიის" მეორე გუნდთან (1:2), "გაგრასთან" (2:0). გუშინწინ კი აზერბაიჯანიდან მოსამზადებლად ჩამოსულ "სიმურგს" შეხვდა.

**გიორგი კიკნაძის** შეგირდებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით დაიწყეს: **გვარამაძე-ფოფხაძე, გუშარაშვილი, კვახაძე, ხოხონიშვილი-ჟღენტი, სამხარაძე, მალიჩავა, ლაღაძე, გულორდავა-მიქაძე.**

შეცვლაზე შევიდნენ: **მამულაშვილი, შენგელია, ბახტაძე, ყენია.**

თამაში "ლოკომოტივის" უპირატესობით დაიწყო. აზერბაიჯანელები თბილისში თამაშის დღეს ჩამოვიდნენ და ამასთან "სიმურგის" მთავარმა მწვრთნელმა **რომან პოკორამ** ოთხი წამყვანი მოთამაშე დაასვენა. მათ შორის უკრაინის ნაკრების და "შახტიორის" ყოფილი მცველი **მიხეილ სტაროსტიაკი** და "დნეპრში" ნათამაშები თავდამსხმელი **ვლადიმირ მაზერი**. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სტუმრები გადაქანცულები იყვნენ - "სიმურგი" საქართველოს საზღვრიდან 60 კილომეტრში მდებარეობს და სტუმრებმა მოსვენება მოახერხეს.

თავიდანვე ვიტყვით, რომ გიორგი კიკნაძემ მოსამზადებელი ეტაპი უქმად არ დაკარგა და გუნდი აშკარად დაქოქა. მოძრაობა, სწრაფი გადაადგილება და ერთი შეხებით თამაში როგორ უნდა, "ლოკომოტივმა" პირველ ტაიმში აჩვენა. სასიამოვნოა, რომ ფორმა აღიდგინა და საკუთარ თავს ემსგავსება ნახევარმცველი **ირაკლი სამხარაძე**. მას მხარი აუბეს **მალიჩავამ და ლაღაძემ**. საერთოდაც, გუნდი აშკარად მოფერიანებულა. თუმცა მეორე ტაიმში გამოჩნდა, რომ "ლოკომოტივის" სათადარიგოთა სკამზე ბევრი გამოუცდელი ბიჭია.

პირველი ტაიმი თბილისელების იყო. კიკნაძის ბიჭებმა "სიმურგის" კართან ცეცხლი დაანთეს და სტუმართა მეკარემ კარიდან ბურთი სამჯერ გამოიტანა. დასაწყისში თავი ალეკო ლაღაძემ გამოიჩინა. მერე მალიჩავამ ისეთი ჯარიმა დაარტყა, "შეუსრულას" რომ ეძახიან - ბურთი "ცხრიანში" გაეხვია. ტაიმის ბოლოს კი სამხარაძემ პენალტი უნაკლოდ დაარტყა - 3:0.

მეორე ტაიმში კიკნაძემაც შეცვალა შემადგენლობა და პოკორაც ისე გამწარდა, ძირითადის ხალხი და ქართველი თავდამსხმელი, გასინჯვაზე მყოფი **დავით მაღლაფერიძე** შეიყვანა. ხომ იცით, ცული რას მიზამდა, ჩემი ჯიშის რომ არ ერიოსო. ეს ბიჭი თბილისის "სპარტაკსა" და ბოლოს ქუთაისის "ტორპედოში" თამაშობდა, თუმცა ზამთარში ტრავმა მიიღო და დაივიწყეს. არადა, მაღლაფერიძეს ეტყობა, თამაში რომ იცის.

მასთან ერთად, "სიმურგში" "მერანის" მცველი **ზურაბ შველიძეც** ისინჯება - საინტერესო ისტორიის მქონე ფეხბურთელი. ორი წლის წინათ ყატარში, "ელ-რაიანში" ჩაირიცხა, სადაც მას ცნობილი ფრანგი მწვრთნელი და წარსულის ვარსკვლავი **ლუის ფერნანდესი** ავარჯიშებდა. თუმცა ფრანგმა ნახევარი წელი ყატარში დაისვენა და ხაიფას "მაკაბიში" გადავიდა, შველიძე კი წამოვიდა. შველიძისა და მაღლაფელიძის საკითხს "სიმურგი" შეკრების დასრულებამდე მოაგვარებს.

თამაშს დავუბრუნდეთ. შეცვლებმა მატჩის ხასიათზე გავლენა მოახდინა. თბილისელები მოდუნდნენ, ამით კი აზერბაიჯანელებმა ისარგებლეს. მაღლაფერიძემ დუბლი შეასრულა, ისევე როგორც **სულთანოვმა**, საპასუხოდ მეორე ტაიმში "ლოკომოტივმა" მხოლოდ ერთი გაიტანა (გულორდავა) და საკონტროლო შეხვედრაც მხირულად დასრულდა - 4:4.

"სიმურგი" დღეს დილმის ბაზაზე თბილისის "დინამოს" შეხვდება, 26 ივლისს საგურამოს ბაზაზე "ამერს" ესტუმრება, ორი დღის შემდეგ გორში "დილას" დაუპირისპირდება, 31-ში კი მცხეთაში "ვიტ ჯორჯიას".

**მერაბ მამულაშვილი**

# ვეთამაშებით მესხეთს, ვფიქრობთ ბელხატოვზე

გუშინ საგურამოში, თბილისის "ამერის" ბაზაზე საკონტროლო მატჩი გაიმართა. ამერელებმა უმაღლეს ლიგაში აღზევებული ახალციხის "მესხეთი" ისტუმრეს და ფრედ 1:1 ითამაშეს.

"ამერის" თამაში იმდაც არის საინტერესო, რომ საქართველოს თასის ორგზის მფლობელი უეფას თასზე გამოდის და 2 აგვისტოს საპასუხო მატჩი აქვს "ბელხატოვთან", რომელთანაც პოლონეთში 0:2 წააგო.

ცხადია, ინტერესმოკლებული არც "მესხეთის" ავან-ჩავანია. ახალციხელები გუშინ კერკეტ გუნდად გამოიყურებოდნენ და აკი, არც არაფერი დაუთმეს "ამერს".

გოლები პირველ ტაიმში გავიდა. **შოთა ჯიქიამ** შორეული თავურით დალაშქრა **ლადო ნადირაშვილის** კარი, ხოლო **მიხეილ მესხმა** საშუალო დისტანციიდან დაბალი ბურთით უზუსტესად მოსხიპა.

მეორე ტაიმში "ამერის" უპირატესობა მკვეთრი იყო - **გიორგი ჩიხრაძემ** წამყვანი მოთამაშეები ჩართო საქმეში, თუმცა "მესხეთი" მაგრად იდგა.

ამერი: ლ. ნადირაშვილი, მჭედლიშვილი, კობაური, კაკაშვილი, ელბაქიძე, ალავიძე, შალამბერიძე, მესხი, დეკანოსიძე, ცხადაძე, ტატანაშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, ჯელაძე, დოლიძე, დავითნიძე, ვარდოსანიძე (ბოლქვაძე), დიდავა, დობროვოლსკი, გოცირიძე, დავითაშვილი.

მესხეთი: სომხიშვილი, გ. ნადირაშვილი, აკოფიანი, ჟვანია, ლეკიშვილი, თაყაძე, აფრიამაშვილი, ინასარიძე, გვირჯიშვილი, კაიდარაშვილი, ჯიქია.

შეცვლაზე შევიდნენ: ქობესაშვილი, რუსია, სუდაძე, კევლიშვილი, მამუკაშვილი, მეტრეველი.

თამაში ახალი დაწყებული იყო, "ამერის" ბაზაზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **პეტარ სეგრტი** რომ მოვიდა. ის ნაკრების კანდიდატებს აკვირდებოდა - 22 აგვისტოს ჩვენი 21-წლამდელები ევროშესარჩევში პოლონელ თანატოლებს ესტუმრებიან და გუშინდელი თამაშის ყურება სეგრტისთვის, ცხადია, მისი სამუშაოს ნაწილი იყო.

მატჩის შემდეგ "ამერის" დამრიგებელ გიორგი ჩიხრაძეს ვთხოვეთ კომენტარი.

- ჩვენ ახლა "ბელხატოვთან" თამაშზე ვფიქრობთ და დღევანდელი მატჩიც პოლონელებთან 2 აგვისტოს შეხვედრისთვის სამზადისი იყო. ჯერ ის ფეხბურთელები ვათამაშე, "ბელხატოვთან" პირველ მატჩში რომ არ უთამაშიათ, ხოლო 65-ე წუთიდან ისინი, ვინც პოლონეთში ითამაშა. 2 აგვისტომდე კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს ვითამაშებთ აზერბაიჯანულ "სამურგთან". პოლონელებთან გოლები სტანდარტული სიტუაციებიდან გავუშვით და ამ კომპონენტზე "სამურგთან" მატჩშიც გავამახვილებთ ყურადღებას.

**დავით თავართქილაძე**




წამიც და ბურთი მესხეთის კარში აღმოჩნდება

# ნაგება მოგებით შეიცვალა

უკრაინულ შეკრებაზე მყოფმა "ვიტ ჯორჯიამ" გუშინ მეორე ამხანაგური მატჩი ითამაშა - პირველი ლიგის "კრიმტეპლიცას" 3:0 მოუგო. გოლები გაიტანეს **პავლე დათუნაიშვილმა** (21 წთ.), **ზაზა სახოკიამ** (27) და **ირაკლი კიკნაძემ** (72).

**ნესტორ მუმლაძის** გუნდმა ამ შემადგენლობით ითამაშა: ბედიაშვილი (46. მიქაბერიძე), პ. დათუნაიშვილი (78, მელქაძე), ლომაია (78. ადამაძე), კაიშაური, ლუჭაშვილი, ინჯგია (46. რაზმაძე), ბეჭვაია, გ. დათუნაიშვიილ (74. მაისაშვილი), სახოკია (58. ლიპარტია), ბერიაშვილი (57. კიკნაძე), კლიმიაშვილი (76. იმერლიშვილი).

ვიტელებს ისევ აკლდათ გუნდის კაპიტანი **ლექსო კვახაძე**, რომელიც ვარჯიშზე დაშავდა და ალბათ ვერც მომდევნო შეხვედრაში ითამაშებს - 26 ივლისს "ვიტ ჯორჯიის" მეტოქე უკრაინის პირველი ლიგის "ჩერნომორსკოე ნეფტგაზი" იქნება.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გაყვანილობა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



გიორგი მერებაშვილი

21-წლამდელთა ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# ბრაზილიასთან 12 ოქტომბერს?

გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, საქართველო-ბრაზილიის ახალგაზრდული მატჩის ორგანიზებაზე მოლაპარაკებათა მიმდინარეობის შესახებ. ამ საკითხში გარკვეული კორექტივები იქნა შეტანილი და ამჯერად სწორედ ეს უნდა გაცნობოთ.

ჩვენი ინფორმაციით მატჩის ჩატარების თარიღი შეიცვალა.

*"ამ საკითხზე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან დღესაც გაიმართა კონსულტაციები. ფეხბურთის ფედერაციამ მატჩის ჩატარების თარიღად 12 ოქტომბერი აირჩია. ჯერ ერთი, ეს ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი თარიღია. მეორეც, ჩვენს 21-წლამდელთა ნაკრებს 22 აგვისტოს პოლონეთში პრინციპული მატჩი აქვს და 15 აგვისტოს ბრაზილიასთან თამაშისას ტრავმები და ამით გამოწვეული დანაკლისი გამორიცხული სულაც არაა. ერთი სიტყვით, ამ და სხვა მიზეზთა გამო საქართველო-ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრებების ჩატარების თარიღად 12 ოქტომბერი ავირჩიეთ და ეს უმალ ვაცნობეთ ბრაზილიურ მხარეს. მართალია, მათ თარილის შეცვლა არ მოეწონათ, მაგრამ მოლაპარაკებები გრძელდება და ახლა მათგან ველით პასუხს"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა **ნიკო პატარქალიშვილმა.**

ბუნებრივია, ამავე საკითხზე ფედერაციასაც დავუკავშირდით.

*"ამ თამაშის ჩატარების თარიღად 12 ოქტომბერი შევარჩიეთ. ეს ბრაზილიურ მხარეს ვაცნობეთ კიდეც და ახლა მათგან ველით თანხმობას. ბრაზილიელთა მიერ შეთავაზებული ფინანსური პირობები ჩვენთვის მისაღებია. ასე რომ, თუ თარილზე შევთანხმდებით, მაშინ მატჩის ჩატარებას ხელს ველარაფერი შეუშლის"*, - განაცხადა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ.**

**დავით ცაბაძე**

ზესტაფონი

# ფერო მიკუჩაძით და აფციაურით ვერ მოფერიანდა

რუსთავის "ოლიმპის" ჩემპიონობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემტევმა შუახაზელმა **თორნიკე აფციაურმა**, თუმცა სეზონის დასრულების შემდეგ მისი და "ოლიომპის" გზები გაიყარა. შესაძლოა, აფციაურმა აზერბაიჯანს მიაშუროს.

"ოლიმპიდან" წასულ აფციაურს თვალი "ზესტაფონმა" დაადგა. ფეროელები ახლა თურქეთში არიან შეკრებაზე, სადაც მათ აფციაური არ გაჰყვა - კლუბი და ფეხბურთელი ვერ მორიგდნენ, თუმცა "ზესტაფონში" გვითხრეს, მოლაპარაკებები არ დასრულებულაო.

"ზესტაფონს" ფორვარდ **კოკა მიკუჩაძის** აყვანაც სურდა, ვინც ბოლოს ისრაელის პირველ ლიგაში თამაშობდა, მაგრამ არც მის ზესტაფონურ ტრანსფერს უჩანს კარგი პირი - თურქეთში მიკუჩაძეც არ წავიდა.

**დავით თავართქილაძე**



თორნიკე აფციაური

ინტერვიუ გიორგი მერებაშვილთან

# ვადუცის ბარიერს გადავლახავთ

**ლიხტენშტაინის "ვადუცთან" თუკი ვინმე გამოირჩა "დინამოდან", უპირველესად ეს გიორგი მერებაშვილზე ითქმის. გოლი და საგოლე პასი – ასეთია მერებაშვილის მონაგარი ამ მატჩში.**

**საინტერესოა, დღეს როგორ იხსენებს და აანალიზებს "დინამოს" ლიდერი განვლილ შეხვედრას და რას ფიქრობს მომავალ მატჩზე...**

- თბილისურ მატჩამდე "ვადუცის" თამაშის ვიდეოფირი ვნახეთ და მეტოქეზე გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა. ლიხტენშტაინელებთან ორრაუნდიანი ბრძოლა გვაქვს და მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის ყველაფერს გავილებთ.

**- მატჩამდე მწვრთნელმა რა დავალება მოგცათ?**

- უპირველესად ის, რომ გოლი არ უნდა გაგვეშვა და მინიმუმ ერთი ბურთი გაგვეტანა. საპასუხო მატჩის წინ ორბურთიანი უპირატესობა მომდევნო რაუნდში გასვლის გარანტი არა, მაგრამ კარგი ფორა ნამდვილადაა.

**- მეორე ნახევარში აშკარად შეეტყო გუნდს, რომ მწვრთნელმა შესვენებაზე შეგაფუცხუნათ...**

- პირველ ტაიმში ჩვენი თამაშით მწვრთნელი კმაყოფილი არ იყო და ცოტა გაბრაზებულიც ჩანდა. ვფიქრობ, სიცხის ბრალი იყო, თორემ უფრო ლამაზ და სწრაფ ფეხბურთს ვაჩვენებდით. ჩემი აზრით, სჯობდა "ვადუცთან" მატჩი 2 საათით გვიან დაწყებულიყო. სიგრილეში უკეთ ვითამაშებდით.

**- პენალტს სამ ეპიზოდში ითხოვდი. ტრიბუნიდან დანახულის მიხედვით, პირველ ორ ეპიზოდში თერთმეტმეტრიანს არ იმსახურებდი. იმ მომენტის უშუალო მონაწილე რა აზრისაა ამაზე?**

- მეორე ეპიზოდისას, მართალი გითხრათ, გავაფორმე და პენალტი ნამდვილად არ იყო. პირველ და მესამე ეპიზოდისას კი პენალტს ნამდვილად ვიმსახურებდი.

**- პენალტი დაინიშნა, მაგრამ რამდენიმე წამის განმავლობაში, თითქოს და გაურკვეველი იყო, ვის უნდა დაერტყა...**

- მწვრთნელი თამაშის წინ ყოველთვის გვეუბნება, თუ ვინ დაარტყამს პენალტს. იმ მატჩის წინ მე და ოდიკაძეს დაგვავალა პენალტის შესრულება. დათო ოდიკაძე მოედანზე არ იყო და შესაბამისად თერთმეთმეტრიანი მე უნდა შემესრულებინა... იმდენად გახარებული ვიყავი, რომ მეგონა ოდიკაძე მოედანზე იყო და მას თვალებით ვეძებდი. დაბნეულობაც ამით აიხსნება.

**- თერთმეტმეტრიანის შესრულებისას კუთხე არჩეული გქონდა, თუ მეკარის მოძრაობა "დაგეხმარა"?**

- საერთოდ, მეკარეს ვუყურებ ხოლმე და მისი რეაქციის მიხედვით ვარტყამ. თუმცა "ვადუცთან" თავიდანვე არჩეული მქონდა რომელ კუთხეში დავარტყამდი.

**- ევროტურნირების ახალ სეზონში "დინამოს" პირველი გოლის ავტორი ხარ. ეს ალბათ ახლა უფრო გაითავისე...**

- რა თქმა უნდა, როცა გოლი გაგაქვს ორმაგად სასიხარულოა. თუმცა ჩემთვის უმთავრესი იყო "ვადუცთან" მოგვეგო. გუნდმა ჩემი გოლისა და საგოლე პასის წყალობით მოიგო და ეს მატჩის მეორე-მესამე დღეს გავითავისე. ამ გოლს "დინამოსა" და ქართული ფეხბურთის ყველა ქომაგს ვუძღვნი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გულშემატკივრებს, რომლებიც "ვადუცთან" მხარში გვედგნენ, დიდი მადლობა გადავუხადო.

**- გოლზე უკვე ვთქვით, ახლა იმ პასზე ვთქვათ, რომელიც ჯორჯ აკირემმა გოლით დაასრულა...**

- კარგი პასი კი იყო, მაგრამ სინით მირთმეული ნამდვილად არ ყოფილა. იმ პასსაც გამოყენება და ასე ვთქვათ, შესრულება უნდოდა. აკირემმა ეს შანსი ჩინებულად გამოიყენა, ყველაფერი კარგად შეასრულა და ძალიან საჭირო გოლი გაიტანა.

**- მატჩის შემდეგ რა გითხრა მან?**

- ერთმანეთს გამარჯვება მივულოცეთ. "კარლ ცაისთან" ის ერთადერთი გოლი რომ გავიტანე, აკირემმა გამიკეთა გადაცემა. ამჯერად ჩემი პასით გაიტანა, ასე რომ, მასთან ვალში არ დავრჩი. ვუთხარი კიდეც, ბარი ბარში ვართმეთქი. გაეცინა და მომიგო – ჯერ ყველაფერი წინ გვაქვსო.

**- შეიძლება ითქვას, რომ აკირემს შენთან და გუნდთან ურთიერთგაგების მხრივ პრობლემა აღარ აქვს?**

- სულ ორი-სამი კვირაა, რაც ის ჩვენთანაა. ერთმანეთს კარგად ვუგებთ. დრო გავა, მატჩები გვექნება და გუნდი მთლიანობაში უკეთ შეთამაშდება.

**- "ვადუცთან" საპასუხო მატჩიც რთული გელით...**

- დიახ, იოლი გასეირნება ნამდვილად არ გვექნება. ლიხტენშტაინელები საშინაო შეხვედრაში ყველანაირად ეცდებიან ორბურთიანი სხვაობის აღმოფხვრას. ჩვენ კი ანგარიშის გაზრდაზე ვიზრუნებთ.

**- საპასუხო მატჩის წინ მომდევნო რაუნდში გასვლის შანსებს როგორ შეაფასებდი, 70-75 პროცენტი ჩვენია?**

- არა, ასე ვერ ვიტყოდი. "ვადუცი" ასეთი სუსტი გუნდი ნამდვილად არაა. ჩვენ სათანადოდ ვაფასებთ მეტოქეს და ჩვენი გუნდის რეალური ძალაც კარგად ვიცით. ვფიქრობ, შანსები 60\40-ზეა ჩვენს სასარგებლოდ

**- "ვადუცი" რასაც ელოდი იმ დონის გუნდია თუ მეტი ან ნაკლები?**

- ეს გუნდი ზამთრის შეკრებისას, თებერვალში "ამერს" ეთამაშა და იმ მატჩის ვიდეოფირის მიხედვით, ლიხტენშტაინელებისგან მეტს ველოდი.

**- კი მაგრამ, მას მერე "ვადუცი" მნიშვნელოვნად შეიცვალა...**

- ორი-სამი ფეხბურთელის გარდა, ისევ ის კონტინგენტი ჰყავთ. სათამაშო სტილი და ტაქტიკაც იგივე აქვთ. კლასით "დინამო" მეტოქეზე უკეთესი გუნდია. მჯერა, ამ ბარიერს გადავლახავთ.

**დავით ცაბაძე**

## კიევმა ალადაშვილიც დაადასტურა

კიევის "დინამოს" პრესსამსახურმა მხოლოდ გუშინ დაადასტურა "ლელოს" მიერ პარასკევს გავრცელებული ინფორმაცია, **ოთარ მარცვალაძისა** და **კახა ალადაშვილის** უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ უჟგოროდის "ზაკარპატიეში" რომ გაანათხოვრეს. სხვა რა გზა იყო - უკრაინის ჩემპიონატის მეორე ტურში გუნდის ფორმით ოთარ მარცვალაძე რომ გამოჩნდა, გულშემატკივრებს მის გვარს ველარ დაუმალავდნენ. კახა ალადაშვილს კი ჯერ არ უთამაშია. მისი შეძენა "მოსკვას" სურდა, მაგრამ კიევის "დინამომ" იჯარაში დიდძალი თანხა მოითხოვა და მოლაპარაკება ჩაიშალა.

უკრაინულ თემას **დავით კვირკველიათი** გავაგრძელებთ. ზაპოროჟიეს "მეტალურგმა" მეორე ტურში გასვლითი შეხვედრა "კრივბასს" "კრივოი როგში მოუგო - 1:0. ერთადერთი გოლი კვირკველიას ჩაწოდებას მოჰყვა. უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" კვირკველიას შრომა დაუფასა: *"ის დაცვაშიც საიმედო იყო და საგოლე კომბინაციაშიც მონაწილეობდა"* - ასეა დასაბუთებული მიზეზი, თუ რატომ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში "მეტალურგის" ქართველი კაპიტანი.

## გვაზავა ლუჩში გადადის?

ნალჩიკის "სპარტაკი" გუშინ ქართველმა ნახევარმცველმა **ლევან გვაზავამ** დატოვა. ინფორმაცია "სპარტაკის" გენერალურმა დირექტორმა, **ალექსანდრ ზარუცკიმ** დაადასტურა: *"ჩვენ გვაზავას ახალი კონტრაქტი შევთავაზეთ, სადაც მისთვის გაცილებით ხელსაყრელი პირობები იყო გათვალისწინებული, თუმცა ის შეუვალია ღმოჩნდა და უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა "ლუჩ-ენერგიაში" გადასვლა. ამ გუნდმა მას გაცილებით სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. ჩვენ თავს ზემოთ ვერ გადავხტებით. ლევანს ჩვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მაქსიმუმი შევთავაზეთ. მას "სპარტაკის" ხელმძღვანელობაც ესაუბრა. თუმცა ძალით ეს შეთანხმება ვერ მოხერხდებოდა. რას ვიზამთ, ეს მისი არჩევანია."*

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

70 წლის წინათ

# ბასკები თბილისში



ბასკები

ქართული ფეხბურთის სახელს არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა უკავშირდება. ისევე, როგორც ყველას, ფეხბურთის გულშემატკივრებსაც აქვთ თავისი ღირსახსოვარი დღეები. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი დღე იყო 1937 წლის 24 ივლისი.

იმ წელიწადს, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის მოწვევით, საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ბასკების (ესპანეთი) ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც დაკომპლექტდა იმ წლის აპრილში. სტუმრებს ჩამოყვა ბასკთა მთავრობის ხელმძღვანელი **აგირე**, რომელიც ერთ დროს თავადაც თამაშობდა ფეხბურთს.

ბასკთა გამგზავრებას ევროპის სახელმწიფოებში დიდი პოლიტიკური და სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა. მოთამაშეები რესპუბლიკური არმიის მებრძოლები იყვნენ. ისინი სპეციალურად გამოიწვიეს ფრონტიდან, რათა სხვა სახელმწიფოებისთვის ეჩვენებინათ ქვეყნის მიღწევები სპორტში და ამავე დროს, შეეგროვებინათ საჭირო ფულადი სახსრები გერმანელი და იტალიელი ინტერვენტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირი ესპანელი ხალხის დასახმარებლად.

ბასკები ჯერ საფრანგეთში გაფრინდნენ. ჩაატარეს მატჩი საფრანგეთის უძლიერეს გუნდთან - "რასინგთან" და მოიგეს 3:0. მეორე მატჩი ამავე გუნდთან ითამაშეს ტულუზში. იქ ბასკები შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ და შეხვედრა ფრედ 3:3 დასრულდა. მატჩის შესახებ პარიზის გაზეთი "სპორტი" წერდა: *"ბასკები ისეთივე თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ კარებს, როგორც მათი გმირი ხალხი იცავს თავისუფლებას ესპანეთში."*

მესამე მატჩი, 1937 წლის ჩემპიონ "ოლიმპიკ მარსელთან" კვლავ დიდი ანგარიშით 5:2 მოიგეს.

ხანგრძლივი და დამქანცველი მგზავრობის შემდეგ პრაღაში ბასკები შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს, რომელთანაც წააგეს 2:3.

9 ივნისს პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის მოწვევით შედგა მატჩი კატოვიცას ფეხბურთელებთან. ეს მატჩიც ბასკებმა მოიგეს 4:3.

16 ივნისს კი ბასკები უკვე საბჭოთა კავშირს ეწვივნენ. მოსკოვის "ლოკომოტივს" მოუგეს 5:1, "დინამო 2"-ს 2:1, ლენინგრადელებთან ფრე 2:2 ითამაშეს, "სპარტაკის" ნაკრებთან კი დამარცხდნენ 2:6. სპორტსაზოგადოება "დინამოს" ნაკრებს, რომელშიც თბილისიდან **დოროხოვი** და **შავგულიძეც** იყვნენ მიწვეულნი, მოუგეს 7:4. კიევის "დინამო" დაამარცხეს კიევში 3:1. თბილისში ჩამოსვლამდე საბჭოთა კავშირში სულ ითამაშეს 7 მატჩი, რომელთაგან ერთი წააგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და ხუთი მოიგეს. ბურთების შეფარდება - 21:17.

21 ივლისს ბასკები კიევიდან თბილისში ჩამოვიდნენ. თავდაპირველად, მხოლოდ ერთი შეხვედრა იყო დაგეგმილი - თბილისის "დინამოსთან", მაგრამ საკავშირო სპორტკომიტეტის ნებართვით, დაინიშნა მეორე მატჩიც - საქართველოს ნაკრებთან.

თბილისში სტუმრებს საზეიმო ვითარებაში დახვდნენ. მათ ჯერ ქალაქი დაათვალიერებინეს, შემდეგ კი კონცერტი გაუმართეს.

მეორე დღეს, დილით, ბასკებმა ვარჯიში ჩაატარეს "დინამოს" მცირე მოედანზე, რომელსაც ჟურნალისტებთან ერთად მრავალი გულშემატკივარი ესწრებოდა. ამ ვარჯიშის ირგვლივ "ლელოს" წინამორბედი გაზეთი "ფიზკულტურელი" წერდა: *"თბილი, მზიანი დილაა. - "დინამოს" სტადიონზე თავი მოუყრია სპორტსმენების ჯგუფს. მოსკოვის "დინამოს", კიევის, თბილისის ფეხბურთელები, მსაჯები და ჟურნალისტები მოუთმენლად უცდიან ესპანელი სტუმრების გამოსვლას.*

*10 საათზე გამოჩნდნენ ბასკები. მოთამაშეები შევიდნენ გასახდელ ოთახში. მალე მოედანზე სავარჯიშოდ გამოდიან თეთრ ტრუსებსა და მწვანე მაიკებში გამოწყობილი ბასკები. მეკარე გრიგორიო ბლასკოს კი ლურჯი სვიტრი აცვია და ხელებზე მსუბუქი ხელთათმანები აქვს. მასაჟისტი მირიტანაგა სპეციალურ საცხებს უსვამს კუნთებზე და ყოველ მოთამაშეს უკეთებს მსუბუქ მასაჟს. შუა მოედანზე დგას ხელმძღვანელი და გუნდის ტრენერი პედრო ვალიანა. ვალიანა თავს უყრის ერთად ფეხბურთელებს. იწყება სპეციალური გიმნასტიური ვარჯიშობანი. ისმის ვალიანას წყნარი, რიტმული ძახილები. ბასკები ელასტიურად აკეთებენ ხელების, ფეხებისა და წელის თავისუფალ ვარჯიშებს. მოსამზადებელი ვარჯიშები დამთავრებულია. ბლასკო და ეგუსტისა იკავებენ თავიანთ ადგილებს. თავდამსხმელთა ხუთეული ნაწილდება მოედანზე. აი, მარჯვენა გარემარბმა გოროსტიცამ გაიტაცა ბურთი და სვლის დროს გადასცა ცენტრს. ისიდორო ლანგარა აკეთებს ცრუ ნახტომს, მეკარე ეცემა კარების მარცხენა კუთხეში. თვალის დახამხამებაზე მარცხენა გარემარბი, ვისაც მიაწოდა ბურთი ლანგარამ, ახვევს ბურთს ბადეში. შემდეგ არტყამენ რამოდენიმე კორნერს. ბასკები უჩვენებენ თავის თამაშის შესანიშნავ ტექნიკას. 30 მეტრი მანძილიდან ნახევარდაცვა ურტყამს რამდენიმე საჯარიმო ბურთს. მეკარე ბლასკოს დიდი მუშაობა უხდება. ისინი აღიზიანებენ ბლასკოს, როდესაც ის უშვებს ბურთს. სამაგიეროდ, როდესაც ფორვარდი გააფუჭებს ბურთს, ბლასკო იღებს სახეს - თითქოს მას სძინავს.*

*იწყება თავდასხმის ხუთეულის კომბინაცია.*

*- "გილერმო!" - უძახის ცენტრი. გოროსტიცა ღებულობს ბურთს და მირბის წინ, "ისიდორო!" - იმ წუთშივე ლანგარა ღებულობს გოროსტიცას მიერ გადაცემულ ბურთს. ლანგარა - მარცხენა ინსაიდი ღებულობს ბურთს და ზუსტად ურტყამს კარში. ბლასკო უძლურია აიღოს ასეთი ბურთი. თბილისის "დინამოს" მეკარე დოროხოვი სიამოვნებით აქნევს თავს: "აი, მესმის ამას ჰქვია დარტყმა!" 12 საათზე ვარჯიში მთავრდება."*

თბილისის დინამოს იმდროინდელი მწვრთნელი **ა. სოკოლოვი** კი წერდა: *"თბილისის დინამოელებმა ნახეს ბასკების მიერ ჩატარებული ყველა მატჩი, რომლებიც წითელი დედაქალაქის სტადიონებზე გაიმართა. ამ მატჩებმა მათზე მოახდინეს ძლიერი და ნათელი შთაბეჭდილება. საჭიროა ჩვენმა დინამოელებმა ბასკი ოსტატებისგან ბევრი ისწავლონ. მომავალი მატჩი კი, რომელიც 24 ივლისს გაიმართება, იქნება სერიოზული გამოცდა, რომელიც ჩვენ მოგვცემს ფასდაუდებელ გაკვეთილს".*

ბასკების გუნდი თბილისს შემდეგი შემადგენლობით ესტუმრა: მეკარეები: გრეგორიო ბლასკო (ბილბაო); რაფაელ ეტუზუიზა (ბილბაო); ტომას დეეგუია (ირუნი).

მცველები: სირნაკო დე-ერასტო (მადრიდი); პედრო დე-არესუ (ბარსელონა); სევერნი ანედრო (სევილია).

ნახევარმცველები: ლეონარდო დე-სილაურენა; ხოსე მიუგუერსა (ბილბაო); რობერტო ემევარია (ბილბაო); სიმონ დე-ლეკვესა (მადრიდი); მარტინ მარგულეტო (მადრიდი); აქსელ დე-სუბიეტა; ანასტასიო სიენსალო (პამპლონა); ხერანდო დე-ბილბაო (ბილბაო); ხუან ანტონიო (მადრიდი).

თავდამსხმელები: ემილიო ალონსო (მადრიდი); ხოზე ირიგორი (ბილბაო); ისიდორო ლანგარა (ოვიედო); ლუის რეგეირო (მადრიდი); გილერმო დე-გორისტიცა (ბილბაო); აგუსტინ ფუტო (ბილბაო); ვიტორიო დე-უნაგუნო (ბილბაო); ხუან რუიტი (სარაგოსა); ანდრიკა დე ლარნიგა (სანტანდერი).

დადგა ისტორიული მატჩის დღე - 24 ივლისი. მიუხედავად იმისა, რომ თამაში 17 საათსა და 45 წუთზე იყო დანიშნული, ფეხბურთის გულშემატკივრები შუადღიდანვე მოაწყდნენ სტადიონს. ბილეთებზე განაცხადი 110 000 კაცზე იყო შესული, მაგრამ ვინაიდან სტადიონის მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული (მესამე იარუსი მზად არ იყო), მატჩს მხოლოდ 40 000 მაყურებელი დაესწრო.

მინდორზე ესპანელი ფეხბურთელები ლურჯი მაისურებით და თეთრი ტრუსებით გამოვიდნენ. დინამოელთა გუნდის კაპიტანი შავგულიძე მიკროფონთან მიდის და მისასალმებელ სიტყვას ამბობს. საპასუხო სიტყვით ბასკების მხრიდან **გოროსტიცა** გამოდის.

გუნდები ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ მინდორზე. ბასკეთის ნაკრები: გ. ბლასკო, პ. არესუ, ს. ანედრო, ლ. სილაურენა, ხ. მიუგუერსა, რ. ეჩებერია, გ. გოროსტიცა, ლ. რეგეირო, ი. ლანგარა, ე. ალონზო და ე. ლანრინგა.

"დინამო": ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, გ. ჭუმბურიძე, გ. გაგუა, მ. მინაევი, ვ. ჯორბენაძე, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ლ. ლოლაძე, მ. ასლამაზოვი.

მატჩი ორმხრივი დაზვერვით დაიწყო, თუმცა მალე ინიციატივა სტუმართა მხარეს გადავიდა და შტურმით მიაწვნენ ა. დოროხოვის კარს. მეცხრე წუთზე ბასკებმა კუთხური ჩამოაწოდეს. **პედრო რეგეიროს** ისლა დარჩენოდა თავით მიმართულება შეეცვალა, მაგრამ რატომღაც მსაჯმა არ ჩათვალა ეს გოლი.

მე-14 წუთზე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა **ბორის პაიჭაძე** გაუსხლტა მეტოქეს, შემდეგ კიდევ ორი მცველი ჩამოიტოვა და მკვდარი ბურთი გაგზავნა კარში. არც ეს ბურთი ჩათვალა მსაჯმა. 27-ე წუთზე კი "დინამო" გოლს მაინც ვერ გადაურჩა. **ლანგარა** მეკარის პირისპირ დარჩა. დოროხოვი ფეხებში ჩაუვარდა, მაგრამ აქნეულ ფეხს ბურთიც აჰყვა და ანგარიშიც გაიხსნა. ასე, 0:1 დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმში ბასკებმა უფრო მაღალი ტემპი შესთავაზეს. ლანგარას შეჩერება ყველა დინამოელისთვის პრობლემად იქცა. დოროხოვმა რამდენჯერმე იხსნა კარი გოლებისგან. ბოლოს სასწაულიც მოახდინა - ლანგარას მიერ უძლიერესად დარტყმულ ბურთს თითქოს მეკარიანად უნდა გაეგლიჯა ბადე, მაგრამ... ბასკმა ფეხბურთელმა ერთხანს გაოცებით უყურა დოროხოვს, მერე კი თავადვე ვერ დამალა აღტაცება.

თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე სტუმრებმა კვლავ კუთხური ჩამოაწოდეს; სამწუხაროდ, უწყინარ სიტუაციაში თბილისელს ბეჭზე მოხვდა ბურთი და კარში შეგორდა. 0:2 ასე დამთავრდა ეს მეტად საინტერესო მატჩი.

30 ივლისს სტუმრების გუნდი საქართველოს ნაკრებს შეხვდა. თამაშის წინა დღეს დინამოელებმა კიკეთში აქტიურად ივარჯიშეს. გუნდში "ლოკომოტივიდან" მოიწვიეს **გაიოზ ჯეჯელავა**.

თამაში კვლავ სტუმრების უპირატესობით წარიმართა და უკვე მე-5 წუთზე ანგარიშიც გახსნეს. პირველ ტაიმში კიდევ ორი ბურთი გაიტანეს. მეორე ტაიმში **გ. გაგუას** და ჯეჯელავას ნაცვლად **გ. აფრიდონიძე** და **ნ. ანიკინი** გამოვიდნენ მოედანზე. უპირატესობას ქართველები დაეუფლნენ. თერთმეტმეტრიან დარტყმას კარგად ასრულებს ბორის პაიჭაძე და ანგარიშში სხვაობას ერთი ბურთით ამცირებს. თუმცა ეს ბოლო აღმოჩნდა სტუმართა კარში.

31 ივლისს ბასკი ფეხბურთელები, მათ პატივსაცემად გამართული ბანკეტის შემდეგ თბილისიდან გააცილეს.

**ელდარ ჩიფჩიური**



ეროვნული ბიბლიოთეკა



გამარჯვებული არგენტინის ნაკრები

მსოფლიო ჩემპიონატი. 20-წლამდელები

# ოქროს ბიჭები

## არგენტინამ იუნიორთა მუნდიალი მეექვსედ მოიგო

კვირას, კანადაში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა. 20-წლამდელების პირველობის ფინალში არგენტინისა და ჩეხეთის ნაკრებებმა გაალწიეს, რომლებიც, სხვათა შორის, ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ ერთმანეთს და ის მატჩი უგოლო ფრით დასრულდა. ჯგუფური ტურნირის დანარჩენ მატჩებში, არგენტინამ 6:0 გაანადგურა პანამა და 1:0 მოუგო ჩრდილოეთ კორეას, რაც შეეხება ჩეხეთს, იმავე კორეასთან ფრედ 2:2 ითამაშა, ხოლო არგენტინელების მიერ განადგურებულ პანამას მოკრძალებული ანგარიშით - 2:0 მოუგო.

ასევე განსხვავებული გზა გაიარეს ამ გუნდებმა ფლეი ოფში. არგენტინამ ფინალამდე სამივე ეტაპზე ძირითად დროში მოიგო - 3:1 დაამარცხა პოლონეთი, მექსიკა - 1:0 და ჩილე - 3:0. რაც შეეხებათ ჩეხებს, მერვედფინალში მათ პენალტების სერია დასჭირდათ იაპონიასთან (2:2, 4:3), იგივე განმეორდა ესპანეთთან (1:1, 4:3) და მხოლოდ ნახევარფინალში მოიგეს ძირითად დროში ავსტრიასთან - 2:0.

აქედან გამომდინარე, ფინალში ფავორიტებად არგენტინელები ითვლებოდნენ, თუმცა ჩეხებსაც ჰქონდათ საკუთარი კოზირები. კერძოდ, მკაცრი თამაში დაცვაში და უფრო ტანმაღალი და ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელები. სამაგიეროდ, არგენტინა გაცილებით მაღალი ტექნიკით გამოირჩეოდა.

თამაშის დიდი ნაწილი არგენტინის კარნახით მიდიოდა, მაგრამ ისინი ვერაფრით ახერხებდნენ ჩეხების დაცვის გარღვევას. ფინალში ძირითადი მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა. პირველად თავი ჩეხებმა გამოიჩინეს. მე-60 წუთზე **ლიუბოშ კალუდამ** მარჯვენა ფლანგიდან შეუტია, ორი მცველი მოატყუა და ცენტრში **მარტინ ფენინი** მონახა, რომელმაც შემობრუნებით ულამაზესი მოჭრილი დარტყმა შეასრულა და ევროპელები დააწინაურა.

თუმცა, სამხრეთამერიკელებმა ორ წუთში გაათანაბრეს ანგარიში. ეს გააკეთა გუნდის კაპიტანმა და ლიდერმა **სერხიო აგუერომ**. "ატლეტიკოს" ფორვარდი ამ ტურნირზე მარადონას მე-10 ნომრით თამაშობდა და ექვსი გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. აგუერომ მოედნის სიღრმიდან მიიღო პასი და წინ გამოსულ მეკარეს იოლად შემოუტარა გვერდიდან ბურთი.

ამის შემდეგ, გუნდები უფრო ფრთხილად თამაშობდნენ. ნებისმიერი გოლი შეიძლება გადამწყვეტი გამხდარიყო. ასეც მოხდა: 86-ე წუთზე არგენტინელებმა კუთხური გაითამაშეს და **მაურო სარატემ** საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან უძლიერესად დაარტყა ახლო კუთხეში. მეკარე აშკარად არ ელოდა ამ გასროლას.

საბოლოო შტურმის მოსაწყობად ჩეხეთის ნაკრებს ძალა აღარ შერჩა. არგენტინამ დამსახურებულად გაიმარჯვა და თავისი არსებობის ისტორიაში მეექვსედ მოიგო იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი.

ბომბარდირობისთვის განკუთვნილი "ოქროს ბუცის" გარდა, აგუერომ "ოქროს ბურთიც" მიიღო, როგორც ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა. ამ ტიტულისთვის ბრძოლაში ატლეტიკოელის კონკურენტები იყვნენ მისი თანაგუნდელი **მაქსიმილიანო მორალესი** და მექსიკელი **ჯოვანი დოს სანტოსი**.

| არგენტინა-ჩეხეთი | 2:1 |
|---|---|

**არგენტინა:** რომერო, ფაციო, ინსუა, მერკადო, ბანეგა, სანჩესი, სარატე, აგუერო, სიგალი, მორალესი (90. კაბრალი), პიატი (80. აკოსტა).

**ჩეხეთი:** პეტრი, კუბანი, მაცუხი, სიმუნეკი, კუდელა, ფენინი, მარეში (76. იანდა), მიკოლა, სტრესტიკი (83. პეჰარტი), სუში, კალუდა.

**გოლები:** 0:1 ფენინი (60), 1:1 აგუერო (62), 2:1 სარატე (86)

ატლეტიკო

# პრეზიდენტის ახალი წინადადება

## 15 მილიონი და კოშტინია სიმაოს სანაცვლოდ

"ატლეტიკო" **სიმაო საბროსას** შეძენის იმედს არ კარგავს. მრავალჯერ გამცნეთ, რომ "ბენფიკის" ხელმძღვანელობამ მადრიდელი კოლეგები უარით არაერთხელ გაისტუმრეს. ბოლოს მათ ისიც თქვეს, სიმაო საერთოდ არ იყიდება და თავი დაგვანებეთო. მიუხედავად ამისა, **ენრიკე სერესო** თავისას არ იშლის და ჯიუტად ამბობს, პორტუგალიელი ნახევარმცველის ხელში ჩასაგდებად ბოლო წუთამდე ვიბრძოლებთო. არაოფიციალური ინფორმაციით, ლისაბონელები წამყვანი ნახევარმცველის სანაცვლოდ ბოლოს 25 მილიონ ევროს ითხოვდნენ. აღმოჩნდა, რომ "ატლეტიკოს" ამხელა თანხის გადახდის თავი არა აქვს. სამაგიეროდ, ესპანელებს საკუთარი წინადადება აღმოაჩნდათ. ისინი მზად არიან "ბენფიკას" 15 მილიონი ევრო დღესვე გადაუხადონ და დამატებით ლისაბონს **კოშტინია** გაამგზავრონ. აი, როგორ აფასებს "როხი ბლანკოს" პრეზიდენტი, ენრიკე სერესო მისი გუნდის მიერ მომზადებულ შეთავაზებას: *"ყველა ვაცნობიერებთ, რომ სიმაო მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ არც კოშტინიაა ხელწამოსაკრავი ფიგურა. "ბენფიკა" 25 მილიონს ითხოვდა. სამწუხაროდ, ამ მომენტისთვის ეს თანხა არ გაგვაჩნია. 15 მილიონს უპრობლემოდ გადავიხდით, დარჩენილი 10-ის სანაცვლოდ კი მზად ვართ, კოშტინია დავთმოთ. ფეხბურთში გაცნობიერებული ყოველი ადამიანი დამეთანხმება, რომ ის 10 მილიონზე გაცილებით მეტი ღირს. თუ "ბენფიკის" მესვეურები სიმაოს გაყიდვის შესაძლებლობას საერთოდ გამორიცხავენ, არაფერი გამოვა, მაგრამ თუ მისი სარფიანად გასხვისება სურთ, ჩვენს წინადადებას უნდა დათანხმდნენ. დარწმუნებული ვარ, უკეთეს ვარიანტს ვერავისგან მიიღებენ."*



სიმაო საბროსა

აღსანიშნავია, რომ თავად სიმაო პოლემიკაში არ ერთვება. გუშინ მას "დიარიო ასის" კორესპონდენტი დაუკავშირდა და მოკლე ინტერვიუ სთხოვა. პორტუგალიელმა ესპანელი უარით გაისტუმრა და მხოლოდ ის უთხრა, რომ მანამ "ბენფიკაში" ირიცხება, სხვა გუნდების წინადადებაზე არაფერს იტყვის. მოკლედ, სიმაო გააქტიურებას არ აპირებს. ეს ფაქტი "ატლეტიკოს" შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს, თუმცა თუ მადრიდელები სწორი ტაქტიკით იმოქმედებენ და 15 მილიონ ევროს რამდენიმე მილიონსაც დაამატებენ, სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება...

## პაინცე მანჩესტერში დარჩება

*"მანჩესტერ იუნაიტედს" მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ ალექს ფერგიუსონი პირდაპირ მეტყვის, რომ მას არ ვჭირდები. არა მგონია, რომ გუნდის სხვა ფეხბურთელებს რაიმეთი ჩამოვრჩებოდე,* - განაცხადა არგენტინელმა მცველმა **გაბრიელ ჰაინცემ** და იქვე დაამატა - *რაც შეეხება ჩემს "ლივერპულში" გადასვლის საკითხს, მსგავსი ნაბიჯი რომ გადავდგა, არა მგონია, ეს "მანჩესტერის" გულშემატკივრებმა მოიწონონ".*

თავის მხრივ, **ალექს ფერგიუსონმაც** დაადასტურა, რომ ჰაინცე კლუბის ძირითად მოთამაშედ მოიაზრება და არ ფიქრობს მისი კლუბიდან გაშვებას.

*"არ ვაპირებ ჰაინცეს ტრანსფერზე საუბარს. ის ახლა შვებულებაშია და ჩვენთან ერთად ვარჯიშს ორ კვირაში განაახლებს. გაბის ტრანსფერის შესახებ ჭორები მისი აგენტისგან ვრცელდება. სიმართლე გითხრათ, ამ ადამიანთან ურთიერთობა არც იოლი ყოფილა",* - ამბობს სერ ალექსი.

## დავიდსმა ფეხი მოიტეხა

ახალი სეზონისთვის მზადების ციკლში, "აიაქსმა" მორიგი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ამსტერდამელები ჰოლანდიის მეორე დივიზიონის ბინადარ "იგლზს" შეხვდნენ. მაგრამ ამ შეხვედრას დასრულება არ ეწერა. მსაჯმა შეხვედრა მაშინ შეწყვიტა, როცა "აიაქსი" 1:0 უგებდა მეტოქეს.

სტადიონზე არეულობა მაშინ დაიწყო, როცა "იგლზის" ერთ-ერთმა ფეხბურთელმა სერიოზული ტრავმა მიაყენა "აიაქსის" ვეტერანს **ედგარ დავიდს**. პოლიციამ სტადიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ვერ შეძლო და მსაჯმა შეხვედრა ვადაზე ადრე დაასრულა.

რაც შეეხება დავიდსის ტრავმას, ის მართლაც უმძიმესი აღმოჩნდა. ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა ფეხი მოიტეხა და მას სამი თვე იძულებითი დასვენება მოუწევს.

## 90 მილიონი ინგლისური ფეხბურთისთვის

ინგლისის პრემიერლიგის ხელმძღვანელობამ 90 მილიონ, ფუნტი გამოყო ინგლისური ფეხბურთის განვითარებისთვის. ეს პროექტი მომავალ სამ სეზონზეა გათვლილი.

Soccernet-ის ცნობით, ეს თანხა სეზონების მიხედვით შემდეგნაირად იქნება განაწილებული: 5.4 მილიონი გამოიყოფა ბავშვთა და იუნიორთა ფეხბურთის განვითარებისთვის, 4 მილიონი ინგლისის საფეხბურთო კლუბების გაერთიანებას ეკუთვნის, 11.2 მილიონი ინგლისის პირველი და მეორე დივიზიონების სპონსორობას მოხმარდება, დანარჩენი ფული კი, სადაზღვევო ფონდში გადავა, რომელიც მომავალ სეზონში 11.2 მილიონს შეადგენს.

*"პრემიერლიგა და მისი კლუბები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ყველა დონეზე ფეხბურთის განვითარებისთვის დახმარების გაწევა",* - განაცხადა ინგლისის პრემიერლიგის დირექტორმა **რიჩარდ სკუდამორმა**.

## მილანის ულტიმატუმი

"მილანმა" "ჩელსის" ულტიმატუმი წაუყენა უკრაინელი ფორვარდის, **ანდრეი შევჩენკოს** ტრანსფერის შესახებ.

იტალიელები მზად არიან, ფეხბურთელში 16.5 მილიონი ფუნტი გადაიხადონ და ინგლისური მხარისგან არაუგვიანეს 31 ივლისამდე ელიან პასუხს.

*"მე რეგულარული კავშირი მაქვს შევჩენკოსთან. "ჩელსიში" იციან ჩვენი პირობები და ანდრეიმაც იცის, როგორ უნდა მოიქცეს",* - განაცხადა "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ**.

## ტაკინარდის ჯანიკედა მიჰყვა

ტურინის "იუვენტუსმა" ბალასტის მოშორება დაიწყო. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "ბებერმა ქალბატონმა" კონტრაქტი გაწყვიტა ნახევარმცველ **ალესიო ტაკინარდისთან**, ამჯერად კი, კიდევ ერთ ვეტერან შუახაზელს, 32 წლის **ჯულიანო ჯანიკედას** გამოეთხოვა.

*"რა თქმა უნდა, ცოტათი ნაღვლიანია კლუბთან განშორება. მაგრამ მე უკვე 33 წლის ვარ და გარკვეული ხანი კიდევ მინდა ფეხბურთში დარჩენა. "იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და დღეიდან, თავისუფალი აგენტის სტატუსი მომანიჭა",* - ამბობს ჯანიკედა.

ამ ნახევარმცველზე "უდინეზე" და "ლივორნო" აცხადებენ პრეტენზიას.

## რასინგმა ლოპესი დაიმატა

სანტანდერის "რასინგმა" "ვალენსიადან" ნახევარმცველი **ხორხე ლოპესი** აიყვანა.

უეფას ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, 28 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ხორხე ლოპესი მეორე ფეხბურთელი გახდა, რომელიც "ვალენსიამ" ბოლო დღეებში გაათავისუფლა. მანამდე ამ ნახევარმცველის ბედი, **დავიდ ნავარომ** გაიზიარა.

## სტეპანოვი პორტოში გადავიდა

სერბეთის ნაკრების მცველი **მილან სტეპანოვი** "ტრაბზონიდან" "პორტუში" გადადის. 24 წლის ფეხბურთელი უახლოეს დღეებში გააფორმებს კონტრაქტს პორტუგალიის ჩემპიონთან. კერძოდ, სტეპანოვი ორშაბათს გაივლის სამედიცინო შემოწმებას და სამშაბათს ოფიციალურად გახდება "პორტუს" ფეხბურთელი.

სტეპანოვი კარიერას ნოვი-სადის "ვოივოდინაში" იწყებდა და 2006 წელს, სწორედ ამ კლუბიდან გადავიდა თურქეთში. ამ მცველს სერბეთის ნაკრებში 5 მატჩი აქვს ჩატარებული.

## კაკა მილანში უნდა დარჩეს

ფეხბურთის მეფე **პელე** გამოეხმაურა **კაკას** "რეალში" სავარაუდო ტრანსფერს. კერძოდ, ლეგენდარული ბრაზილიელი თვლის, რომ "მილანის" ლიდერმა კლუბი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიცვალოს.

*"სანტოსში" 20 წლის განმავლობაში ვთამაშობდი და ყოველთვის ამ კლუბის ერთგული ვიყავი, თუმცა სარფიანი შემოთავაზებები მქონდა "რეალისგან" და "იუვენტუსისგან". "სანტოსში" დავრჩი, რადგან იქ გავიზარდე, იქ გავხდი ვარსკვლავი, გულშემატკივრებმა შემიყვარეს და მეც ბედნიერი ვიყავი. ფული - ყველაფერს არ ნიშნავს. კაკა "მილანში" ბედნიერია, ამიტომაც, არ ღირს კლუბის გამოცვლა",* - განაცხადა პელემ "გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

## იესტე სამ ტურს გამოტოვებს

ბილბაოს "ატლეტიკის" ნახევარმცველმა **ფრანსისკო იესტემ** საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და ამის გამო, ახალი სეზონის სტარტს გამოტოვებს.

*"ეს ქრონიკული ტრავმა იყო და იმედი მაქვს, ოპერაციის შემდეგ პრობლემა სამუდამოდ მოგვარდება. სამწუხაროდ, სეზონის სტარტს გამოვტოვებ და სავარაუდოდ, მეოთხე ტურიდან ჩავებმები ჩემპიონატში",* - აღნიშნა იესტემ.

ინტერვიუ ექტორ კუპერთან

# ფეხბურთელებთან ინდივიდუალურად მუშაობას არ ვაპირებ

## არგენტინელი მწვრთნელი ჯერ შეგირდების ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე იზრუნებს, შემდეგ კი მათ ბურთსაც მიართმევს

უკვე ოთხი დღეა, რაც **ექტორ კუპერი** "ბეტისში" მუშაობას შეუდგა. ანდალუსიელები არგენტინელ სპეციალისტს უდიდეს იმედებს უკავშირებენ. ხელმძღვანელობასა და გულშემატკივრებს სჯერათ, რომ კუპერი გუნდს ესპანური ფეხბურთის ელიტაში დააბრუნებს. გუშინ სამხრეთამერიკელმა მწვრთნელმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. სენიორ ექტორმა მედიის წარმომადგენლებს გაუმხილა, რომ ძლიერი კოლექტივის ჩამოყალიბების იმედი აქვს. მისი თქმით, "ბეტისის" გაცოცხლების ერთადერთი გზა რკინისებურ დისციპლინაშია. არგენტინელი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მისმა ბიჭებმა არასოდეს დაყარონ ფარ-ხმალი. რაც არ უნდა მოხდეს, "ბეტისმა" მუდამ ბოლო წამამდე, მედგრად უნდა იბრძოლოს.

**- გუნდთან გატარებულმა ოთხმა დღემ როგორი შთაბეჭდილება შეგიქმნათ? "ბეტისის" შესაძლებლობები მეტისმეტად შეზღუდულია?**

- პირველ ყოვლისა, მსურს მოგახსენოთ, რომ ბიჭების განწყობით ძალიან კმაყოფილი ვარ. დავრწმუნდი, რომ ისინი მზად არიან, თავდაუზოგავად იმუშაონ. მომავალი სეზონისთვის მზადება ინტენსიური ვარჯიშებით დავიწყეთ. დატვირთვები საკმაოდ დიდია. შვებულებიდან დაბრუნებული ფეხბურთელები აშკარად იტანჯებიან, მაგრამ ეს არავის აშინებს. მოთამაშეები ხვდებიან, რომ შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს უფრო ამბიციური მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გულშემატკივრების სამართლიან რისხვას თავს ვერ დავაღწევთ. მართლაც კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, რომ პასუხისმგებლობას ერთი კაციც კი არ გაურბის. მანამ "ბეტისში" ასეთი სულისკვეთება იარსებებს, საფრთხე არ დაგვემუქრება. პრეტემპორადას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ახლა უნდა შევიმუშაოთ გეგმა, განვსაზღვროთ პრიორიტეტები, შევიძინოთ საჭირო უნარები და სეზონის მსვლელობისას ეს ყველაფერი რაციონალურად გამოვიყენოთ. მოკლედ, ხასიათი, რომელმაც უნდა განგვამტკიცოს ახლა ყალიბდება.

**- თქვენი მუშაობის პირველ შედეგს როდის დავინახავთ. თუ წარმოგიდგენიათ, ვარჯიშები ნაყოფს რა დროისთვის გამოიღებს?**

- პრეტემპორადის საწყის ეტაპზე პრიორიტეტს ფიზიკურ მომზადებას ვანიჭებთ. ფეხბურთელებს ვუხსნი, რა მომწონს და რას ვერ ვიტან. იმედია, გაუთვალისწინებელი პრობლემები არ შეგვექმნება. ჯერ ბევრი უნდა ვირბინოთ, კუნთები გავიმაგროთ, გამძლეობა ავიმაღლოთ და შემდეგ ბურთის დროც მოვა. სპეციალისტთა ერთი ნაწილი ფიზიკური და ტექნიკური მომზადების კურსს ერთმანეთს ამთხვევს. მე მათ კატეგორიას არ განვეკუთვნები. ყოველთვის მირჩევნია, ჯერ მოვძლიერდეთ და ტექნიკაზე შემდეგ ვიმუშაოთ. თუ ფეხბურთელს გამძლეობა უმტყუნებს, ვერც ტექნიკით გამოიჩენს თავს და გუნდსაც შესაბამისად ვერაფრით დაეხმარება. შესაძლოა, მეტისმეტად მომთხოვნი ვარ, თუმცა სჯობს, თავიდან გავიჭირვოთ და შემდეგ შედარებით იოლი ცხოვრებით დავტკბეთ. მერწმუნეთ, თუ პრეტემპორადა სწორად არ წარიმართა, სეზონის მსვლელობისას გადაუჭრელ პრობლემებს წავაწყდებით. ვფიქრობ, ჩვენი შრომის პირველ ნაყოფს პრიმერა დივიზიონის დებიუტში დავინახავთ. მჯერა, საწყის ტურებს უმაღლეს დონეზე ჩავატარებთ და გულშემატკივრებს დიდ სიამოვნებას მივანიჭებთ.

**- საინტერესოა, კონკრეტული ფეხბურთელისგან რას ელით და როგორ გგონიათ, სად გადის "ბეტისის" შესაძლებლობების ზღვარი?**

- სიმართლე გითხრათ, ფეხბურთელებთან ინდივიდუალურად მუშაობას არ ვაპირებ. ყოველ შემთხვევაში, გადაჭარბებულად მაინც. "ბეტისს" საკმაოდ კარგად ვიცნობ. შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ჩემს ახალ გუნდზე ამომწურავი შთაბეჭდილება შემექმნა. ვიცი, კოლექტივთან როგორ უნდა ვიმუშაო. რა თქმა უნდა, ყველა მოთამაშისთვის ღია ვარ. თუ სურვილი გაუჩნდებათ, შეუძლიათ, პირდაპირ ჩემთან მოვიდნენ და ნებისმიერ თემაზე დამელაპარაკონ.

**- რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ "ბეტისის" ოთხი ახალწვეული გუნდში კარგად ჩაეწეროს?**

- არ მგონია, პრობლემები შეექმნათ. "ბეტისის" შემადგენლობა საკმაოდ ახალგაზრულია. ბიჭებს ძარღვებში სისხლი უდუღთ. შემართულ და თავმოყვარე კაცებს კი ყოველთვის შეუძლიათ, რთული სიტუაციიდან ღირსეული გამოსავალი მონახონ. ბუნებრივია, ახალწვეულებს უცხო გარემოსთან შესაგუებლად გარკვეული დრო სჭირდებათ. რა თქმა უნდა, ამ დროს აუცილებლად მივცემთ. ისინი მშვიდად ივარჯიშებენ. შემადგენლობას ნელ-ნელა გაუშინაურდებიან და გაცემულ ავანსებს გაამართლებენ. მერწმუნეთ, ძალიან ბევრს ვმუშაობთ იმისთვის, რომ "ბეტისი" ერთ მუშტად შეკრულ კოლექტივად ჩამოყალიბდეს. ერთ მაგალითს მოგიყვანთ. ბაბიჩსა და ოდონკორს ესპანურის მასწავლებლები დავუქირავეთ. აქამდე ისინი თანაგუნდელებთან კონტაქტს ვერ ამყარებდნენ. ვფიქრობ, თუ ბიჭები ერთმანეთში მეგობრულ ურთიერთობას ვერ დაამყარებენ, საქმე წინ ვერ წაიწევს. მოკლედ, ვალდებულები ვართ, ყველაზე უმნიშვნელო დეტალიც კი გავითვალისწინოთ, რათა კლუბში დაქსაქსულობა არ დავუშვათ.



ექტორ კუპერი

**- იმ ფეხბურთელებს რა ბედი ელით, რომლებსაც ექტორ კუპერის მონახაზში ადგილი არ მოეძებნებათ?**

- ხელმძღვანელობა ინტენსიურად მუშაობს იმისთვის, რომ არასასურველ მოთამაშეებს ახალი კლუბები გამოუნახონ. ცხადია, არ მიხარია, სხვადასხვა ფეხბურთელს წასვლა რომ უწევს, მაგრამ ფეხბურთს ასეთი კანონები აქვს. გუნდში შეუზღუდავი რაოდენობის ფეხბურთელი ვერ მოეწყობა. დირექტორატს უკვე მოვახსენე, ვის არ ექნება შანსი. როგორც მითხრეს, რობერტსა და დანის საინტერესო ვარიანტები უკვე მოუნახეს. იმედია, მათაც მოეწონებათ და სხვა გუნდში კარგ კარიერას გაიკეთებენ.

**- როგორც ჩანს, ფეხბურთელს, რომელსაც თქვენ აითვალწუნებთ, გადარჩენის მინიმალური შანსიც არ გააჩნია. მახსოვს, როცა "ინტერში" მუშაობდით, რონალდოს მიმართ მეტისმეტად მკაცრი და დაუნდობელი იყავით.**

- მოდით, წარსულს ნუ დავუბრუნდებით. უსამართლოდ არასდროს არავინ დამიჩაგრავს. შეგირდების გარჯასა და შრომას ყოველთვის ადექვატურად ვაფასებ. რონალდოს გაყიდვა იმიტომ მოვითხოვე, რომ მას ვარჯიში ეზარებოდა. ამას სხვა მოთამაშეები კარგად ხედავდნენ. თუ ბრაზილიელს წავუყრუებდი და სიზარმაცეს ვაპატიებდი, რა მორალური უფლება მექნებოდა, სხვებისთვის გულმოდგინე მუშაობა მომეთხოვა? წლები გავიდა, მაგრამ დღესაც ჰგონოათ, რომ რონალდო ავითვალწუნე. რა სისულელეა, მას პლანეტის ერთ-ერთ უნიჭიერეს ფორვარდად მივიჩნევდი და ახლაც მივიჩნევ, მაგრამ სიზარმაცეს არავის ვაპატიებ.

**- მომავალ სეზონში რა მიზნებისთვის იბრძოლებთ?**

- ჩემპიონობაზე ფიქრი, ალბათ, უტოპია იქნება (იცინის). რაც უფრო რეალისტები ვიქნებით, მით უფრო წინ წავალთ. ვფიქრობ, "ბეტისს" უეფას თასის საგზურის მოპოვების უნარი შესწევს. თუ უფრო მეტად გაგვიმართლებს და ჩემპიონთა ლიგის ზონაში ამოვჩნდებით, ამას რა აჯობებს.

---

შტუტგარტი

# ფეე: მიყიდეთ თავდამსხმელი, თორემ წავალ!

## შვაბთა მწვრთნელი განრისხებულია...

ხვალ, გერმანიის ლიგის თასის ნახევარფინალში მოქმედი ჩემპიონი "შტუტგარტი" "ბაიერნს" შეხვდება. გერმანელი გულშემატკივრები ამ შეხვედრას მოუთმენლად ელიან, რადგან მათ აინტერესებთ, რას მიაღწევს ჩემპიონი გაძლიერებული რეკორდმაისტერის წინააღმდეგ. შვაბური კლუბის მთავარ მწვრთნელ **არმინ ფეეს** რომ ჰკითხოთ, ამ "შტუტგარტს" ამ "ბაიერნის" წინააღმდეგ სასურველი შედეგის მიღწევა და ლიგის თასის ფინალში გასვლა ძალიან გაუჭირდება. პირველ რიგში, იმის გამო, რომ VFB-ს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ტრავმირებული ჰყავს.

*"სამწუხაროდ, მძიმე მდგომარეობაში ვართ. დავიწყოთ იმით, რომ გუნდი კარგ ფორმაში არ არის. ესეც არ იყოს, ტრავმებიც მოგვეძალა. ასე რომ, ლიგის თასს დიდ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ. მთავარი ბუნდესლიგაა, რომლის დაწყებამდეც ორ კვირაზე ოდნავ მეტი რჩება,"* - აცხადებს ფეე.

მაგრამ თუ "შტუტგარტი" ამ ორ კვირაში არავის იყიდის, ფეეს სამწყსოს ბუნდესლიგის პირველ ტურებშიც გაუჭირდება იმის დამტკიცება, რომ ამ გუნდის ჩემპიონობა ლოგიკური იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონთა მწვრთნელი უკმაყოფილო და გაბრაზებულია იმის გამო, რომ ხელმძღვანელები თხოვნას ვერ უსრულებენ. არმინმა მაღალკვალიფიციური თავდამსხმელის ყიდვა ითხოვა, მაგრამ ტრანსფერი ჯერჯერობით, არ განხორციელებულა. "სარაგოსადან" არენდით აყვანილი **ევერტონი** კარგი ფორვარდია, მაგრამ ფეე კიდევ ერთ თავდამსხმელს ითხოვს.

*"ახალი კონტრაქტის შესახებ ხელმძღვანელებს ზამთარში უნდა დაველაპარაკო, მაგრამ თუ ფორვარდს ვერ შევიძენთ, გამორიცხული არ არის, რომ გუნდიდან მოსალოდნელზე ადრე წავიდე,"* - ამბობს "შტუტგარტის" თავკაცი. "შტუტგარტმა" ჯერ ჰამბურგის კოტ დ'ივუარელ თავდამსხმელ **ბოუბაკარ სანოგოს** მოუსინჯა ნიადაგი, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ისევე, როგორც არ გამოდის დონეცკის "შახტარის" ფორვარდ **ჩიპრიან მარიკას** ტრანსფერი. *"ეს საშინელებაა! ორ კვირაში გერმანიის თასის პირველ ეტაპზე "ვეენს" ვეთამაშებით და რაკი კაკაუ დისკვალიფიცირებულია, ამ მატჩისთვის გუნდში მხოლოდ ორი თავდამსხმელი მრჩება,"* - აგრძელებს ფეე. ერთი მათგანი ზემოთ ხსენებული ევერტონია, მეორე კი **მარიო გომესი**.

რაკი ახალ სეზონში შვაბები ჩემპიონთა ლიგაშიც იასპარეზებენ, ზეწოლა ორმაგად მძიმე იქნება და თუ გუნდმა მართლაც არ იყიდა ერთი მაღალკვალიფიციური ფორვარდი, VFB-ს სასურველი შედეგების მიღწევა ძალიან გაუჭირდება...

---

### ზაჰოვიჩის ახალი თანამდებობა

სლოვენიის ნაკრების ყოფილი ლიდერი **ზლატკო ზაჰოვიჩი** "მარიბორის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა.

ზაჰოვიჩმა სლოვენიურ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და თავისი მოვალეობების შესრულებას 1 აგვისტოდან შეუდგება. ამ პოსტზე ყოფილმა ფორვარდმა **მარიან პუშნიკი** შეცვალა, რომელიც თავის მხრივ, სპორტულ დირექტორობას მთავარი მწვრთნელის თანამდებობას უთავსებდა.

თავის დროზე, ზაჰოვიჩი "პარტიზანში", "პორტუში", "ოლიმპიაკოსში", "ვალენსიასა" და "ბენფიკაში" თამაშობდა. 35 გოლით ის სლოვენიის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირია.

### 4 მილიონი გერეროში

"პორტსმუთის" ხელმძღვანელობა "ჰამბურგს" დაუკავშირდა და პერუელი ფორვარდის, **ხოსე პაულო გერეროს** სანაცვლოდ 4 მილიონი ფუნტი შესთავაზა.

The People-ის ინფორმაციით, ამ ტრანსფერის განხორციელების ალბათობა საკმაოდ მაღალია და შესაბამისად, პერუელი ფორვარდი შესაძლოა სულ მალე ინგლისში ვიხილოთ.

შარშან, გერერომ ბუნდესლიგაში 20 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა.

### როსო მაკაბიში დაბრუნდა

ჰაიფას "მაკაბის" 2000-იანი წლების დასაწყისში ამ კლუბის სიმბოლოდ აღიარებული ხორვატი ნახევარმცველი **ჯოვანი როსო** უბრუნდება. ამის შესახებ გუშინ, "მაკაბის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა.

2000-05 წლებში, როსო ოთხჯერ გახდა ისრაელის ჩემპიონი და 19-ჯერ ითამაშა ხორვატიის ნაკრების შემადგენლობაში. გარდა ამისა, მან ისრაელის მოქალაქეობა მიიღო და იქაურ ლიგაში ლეგიონერად აღარ ითვლება.

როსომ განაცხადა, რომ სწორედ "მაკაბიში" სურს კარიერის დასრულება.

### ლიუნგბერგმა ვესტ ჰემი გადაწყვიტა

თითქმის გარკვეულია "არსენალის" ნახევარმცველის, **ფრედი ლიუნგბერგის** საკითხი. ლონდონის "ვესტ ჰემმა" აჯობა "ფიორენტინას" და შვედი ფეხბურთელი თავის მხარეს გადაიბირა. ლიუნგბერგი "ჩაქუჩებთან" კონტრაქტს მომავალ კვირას მოაწერს ხელს.

იტალიასა და ინგლისს შორის არჩევანი თავად ფეხბურთელმა გააკეთა. ის მოიხიბლა "ვესტ ჰემის" მიერ შეთავაზებული პირობებით, რომლის მიხედვითაც, გაისად შვედის ყოველკვირეული ხელფასი 60 ათასი ფუნტი იქნება.

### ტულუზამ კაპიტანი დაკარგა

"ტულუზას" კაპიტანს **დომინიკ არიბაჟეს** ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩების გამოტოვება მოუწევს. 36 წლის მცველმა "არისთან" ამხანაგური მატჩის მეხუთე წუთზე ფეხი დაიზიანა და სავარაუდოდ, ის თვენახევარი ვერ შეძლებს მინდორზე გასვლას.

გასულ სეზონში ამ ფეხბურთელმა საფრანგეთის ჩემპიონატში 34 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

### ვერონი ამერიკაში?

საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს Mirror sports. ეს გამოცემა ირწმუნება, რომ არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი **ხუან სებასტიან ვერონი** ამერიკაში გააგრძელებს კარიერას.

როგორც ირკვევა, არგენტინელის გადაბირებით MLS-ის კლუბი "დი სი იუნაიტედი" ყოფილა დაინტერესებული.

### რეალი სამი ნახევარმცველი დაიტოვა

მადრიდის "რეალმა" თავის სამ ნახევარმცველთან გაახანგრძლივა კონტრაქტები. ესენი არიან: **ანხელ ბალბოა, რუბენ და ლა რედი** და **ადრიან გონსალესი**. სამივე ფეხბურთელმა 2011 წლამდე გააფორმეს ხელშეკრულებები.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ სეზონში, ამ სამიდან მხოლოდ დე ლა რედს მოუწია თამაში. 22 წლის ფეხბურთელმა შვიდ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ამასობაში, "რეალის" პრეზიდენტი **რამონ კალდერონი ხუან რომან რიკელმეს** სავარაუდო ტრანსფერის შესახებ გავრცელებულ ჭორებს გამოეხმაურა.

*"რიკელმე არ შედის "რეალის" ინტერესის სფეროში"*, - მოკლედ მოუჭრა გაზეთ "მარკას" პრეზიდენტმა, რითაც კლუბის მხრიდან **გუტისადმი** ნდობა დაადასტურა.

### საპატა სტიაუაში ითამაშებს

ბუქარესტის "სტიაუამ" 4 წლით გადაიბირა კოლუმბიის ნაკრების მეკარე **რობინსონ საპატა**.

შარშან, 28 წლის გოლკიპერი "დეპორტივო კუკუტას" ღირსებას იცავდა და ამ კლუბს ლიბერტადორესის თასის ნახევარფინალის საგზურის მოპოვებაში დაეხმარა.

### კვერცხები კორინთიანსის პრეზიდენტს

"კორინთიანსის" დაახლოებით 100-მდე გულშემატკივარმა აღშფოთება ვერ დამალა იმის გამო, რომ კლუბმა ბრაზილიის ჩემპიონატში მორიგი მატჩი წააგო - კვირას, "კორინთიანსი" საკუთარ მოედანზე "ნაუტიკოსთან" 0:3 განადგურდა.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, გულშემატკივრებმა კლუბის პრეზიდენტის, **ალბერტო დუალიბას** სახლისკენ აიღეს გეზი და როცა დანიშნულების ადგილს მიაღწიეს, პრეზიდენტის სახლს კვერცხები დაუშინეს და იქაურობა გინებით აიკლეს.

ახლა, ბრაზილიის პოლიციამ მორიგეობა დააწესა დუალიბას სახლთან, რათა გულშემატკივრებმა უფრო გადამჭრელი ზომები არ მიიღონ.

### ბარსა ნიგერიელ თინეიჯერს ყიდულობს

"ბარსელონა" ახალი ტალანტების ძიებას განაგრძობს და პოულობს კიდეც. ესპანური პრესის ცნობით, კატალონელები ნიგერიელი **ანრი ოდიას** შეძენას აპირებენ.

ოდია ნიგერიული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. სწორედ მისი კარგი თამაშის წყალობით მოიგო ნიგერიის ნაკრებმა 17-წლამდელებს შორის აფრიკის თასი.

სხვათა შორის, "ბარსელონას" გარდა, ამ ფეხბურთელის გადაბირებას "ესპანიოლი" და "ჩელსიც" ცდილობენ.

### სიენა ლიუბოჟას უმიზნებს

იტალიის "სიენას" ყურადღების ცენტრში მოხვდა გერმანიის ჩემპიონის, "შტუგარტის" ფორვარდი **დანიელ ლიუბოჟა**. ამ სერბი თავდამსხმელის ტრანსფერი იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ "სიენა" "ლეჩედან" **გრაციანო პელეს** გადაბირებას ვერ შეძლებს. სწორედ ეს ფეხბურთელია, ჯერჯერობით, "სიენას" ძირითადი სამიზნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლუკას პოდოლსკისთან

# ჩემი დროც მოვა!

## პოლდი არ ნერვიულობს და დარწმუნებულია, რომ კლოზეს ან ტონის სასტარტოდან ამოაგდებს...

**ლუკას პოდოლსკის გულშემატკივრების დიდი ნაწილი სათვალავში აღარ აგდებს. ცხადია, იმის გამო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ თავი ფაქტობრივად, ერთხელაც არ გამოუჩენია და გასული სეზონი აშკარად ჩააგდო. ახლა კი, როცა "ბაიერნმა" ლუკა ტონი და მიროსლავ კლოზე გადაიბირა, შანსი იმისა, რომ პოლდიმ რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდროს, კიდევ უფრო შემცირდა. პოლდი ახლა ტრავმირებულია. ლუკასი დიდი ხანი დუმდა და ინტერვიუებს არ იძლეოდა. ეს დუმილი მას გამოცემა "ბილდმა" დაარღვევინა. ჩვენმა ბილდელმა კოლეგებმა გასული პოდოლსკის, სეზონის შემდეგ, პირველი ინტერვიუ ჩამოართვეს.**

**- ჰერ პოდოლსკი, შარშან ამ დროს, მიუნხენში ყველას თქვენი გვარი ეკერა პირზე, ახლა კი მთელი ქალაქი მხოლოდ ტონიზე, რიბერისა და კლოზეზე ლაპარაკობს. როცა "ბაიერნის" ზღაპრულ სასტარტო შემადგენლობაზე საუბრობენ, თქვენ არავინ გახსენებთ. ლუკას პოდოლსკის მომავალი საფრთხეშია?**

- მართალია, ეს მეტად არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ ამაში საკუთარი თავის გარდა, ვერავის დავადანაშაულებ. ხდება ის, რაც გასული სეზონის მიხედვით დავიმსახურე. ყველას მივმართავ: ჩემს გამო ნუ ნერვიულობთ!

**- ული ჰიონესმა თქვა, გერდ მიულერისა და ჰიონესის ტანდემის შემდეგ, "ბაიერნს" ასეთი გრანდიოზული თავდასხმა არ ჰყოლიაო. თქვენ არც კი გახსენათ. არ განაწყენდით?**

- არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა. დარწმუნებული ვარ, რომ მოვა დრო, როცა პოდოლსკიზე ისევ ალაპარაკდებიან. ჯანმრთელად რომ ვყოფილიყავი და ტესტ-მატჩებში მონაწილეობა მიმეღო, იქნებ ექსპერტებს სხვანაირად ესაუბრათ, მაგრამ რას ვიზამ - ჯერ ახალგაზრდა ვარ, მთელი კარიერა წინ მაქვს. ჩვენ, თავდამსხმელებს, ყოველთვის შედეგიანობით გვაფასებენ, გასულ სეზონში კი ძალიან ცუდი შედეგები მქონდა. მე ის ვიცი, რომ ფეხბურთის თამაში და გოლების გატანა მეხერხება. და ისიც ვიცი, რომ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი აუცილებლად მომეცემა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შანსს გამოვიყენებ კიდეც, თუ არა და...

**- და რა იქნება, ასე რომ არ მოხდეს?**

- მაშინ წასვლა მომიწევს. თავის გამოჩენის იმედი რომ არ მქონდეს, "ბაიერნში" არ გადმოვიდოდი.

**- შეგეძლოთ, გეთქვათ, კლოზესა და ტონის კომპანია ნამეტანიაო და გუნდი გამოგეცვალათ...**

- მართალია. ნამდვილად იყო იმის შანსი, რომ აქედან წასვლაზე მეფიქრა. ჩემს მრჩეველს არაერთი შემოთავაზება ჰქონდა.

**- მაგრამ?**

- მაშინვე ვთქვი, არაფერიც, აქ დავრჩები და ადგილს აუცილებლად დავიმკვიდრებ-მეთქი. მინდა, რომ "ბაიერნში" ვითამაშო. მიუნხენური გუნდიდან ნამდვილად არ წავალ მხოლოდ იმის გამო, რომ ერთი სეზონი ჩამივარდა.

**- რატომ არ წახვალთ?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ადვილია: "ბაიერნი" შესანიშნავი გუნდია, აქ თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ და მჯერა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს დავიმკვიდრებ.

**- მაგრამ გასულ სეზონში ხომ უმეტესად სათადარიგოთა სკამს ხეხავდით?**

- საკმარისია, ამ თემაზე საუბარი აღარ მსურს.

**- ყველა ამბობს, რომ ეს თქვენი კარიერის უმნიშვნელოვანესი, ფაქტობრივად გადამწყვეტი და გარდამტეხი სეზონი იქნება...**

- ერთი წლის წინათაც ამას ამბობდნენ...

**- მაგრამ თუ თავს ამ სეზონშიც ვერ გამოიჩენთ, უკვე იტყვიან, ხედავ, პოლდი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ არა იმდენად კარგი, რომ "ბაიერნში" ფეხი მოეკიდებინაო...**

- ეს ძალიან ბევრ კომპონენტზეა დამოკიდებული. როცა შანსი არ გეძლევა და გრძნობ, რომ არაფერი აღარ გამოგივა, მაშინ აუცილებლად გუნდის გამოცვლაზე უნდა დაიწყო ფიქრი. მაგრამ მე ჯერ ასეთი გრძნობა არ გამჩენია და "ბაიერნში" ამიტომაც დავრჩი.

**- ასეთი გრძნობა უკვე ძალიან ბევრს გაუჩნდა. თქვენ თითქმის ერთადერთი ხართ, ვინც ასე არ ფიქრობს...**

- არ ვფიქრობ, რადგან ეს არ მოხდება. არ მოხდება, მორჩა და გათავდა! ჯერ მხოლოდ 22 წლის ვარ და მჯერა, რომ რეკორდმაისტერში კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს ვითამაშებ.

**- რატომ ხართ ასე დარწმუნებული იმაში, რომ კლოზეს ან ტონის სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდებთ?**

- ვინც გოლებს გაიტანს, ის ითამაშებს. მე კი მჯერა, რომ გოლებს გავიტან.

**- სარეკლამო კლიპებში გადასაღებად ძველებურად ხშირად გეპატიჟებიან, თუ მოთხოვნამ იკლო?**

- ისევ ხშირად მეპატიჟებიან. ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენ ასეთ წინადადებაზე ვთქვი უარი. ეს იმიტომ, რომ მინდა, მხოლოდ ფეხბურთზე ვიყო კონცენტრირებული.

**- თამაშს როდის შეძლებთ?**

- კონკრეტული თარიღი ცნობილი არ არის და არც მინდა, რომ ცნობილი იყოს.

**- და გეგმა როგორ გამოიყურება?**

- დღეში ორჯერ ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ - ოპერაციის შემდეგ ფიზიკურად უნდა მოვძლიერდე. სირბილის უფლება ჯერ არ მაქვს. საერთოდ, მირჩევნია ორი კვირით დიდხანს დავისვენო და კარგად გამოვჯანმრთელდე. რისკზე წასვლა საჭირო არ არის.

**- როგორ ფიქრობთ, ახალი "ბაიერნი" მართლა ასეთი ძლიერია?**

- რა თქმა უნდა. ჩვენი შემადგენლობა გერმანიაში ყველას შიშის ზარს სცემს.

**- თქვენ კი, ამ გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება ჯერ არ გაქვთ...**

- ჰო და ეს ძალიან სამწუხაროა, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს?

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ გუნდის ნაწილი აღარ ხართ?**

- რა თქმა უნდა, არა! ასე რატომ უნდა ვფიქრობდე?

**- როგორც ჩანს, ფრანკ რიბერის ძალიან კარგად უგებთ. შეკრებაზე მან კბილის პასტით გაგალამაზათ...**

- ჰო, მე კი კარის წინ ვარდები დავულაგე და გავიქეცი (იცინის)...

**- რიბერისთვის სიყვარული აგიხსნიათ...**

- ჰო, ხუმრობა არცერთ ჩვენგანს არ აწყენს. ვფიქრობ, რიბერი შესანიშნავი ადამიანია. ახალ თანაგუნდელებთან ძალიან მალე მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. ყველაფერს სწორად აკეთებს. ძალიან კარგი ვინმეა.

**- არის თუ არა თქვენი უპირატესობა ის, რომ გერმანიის ნაკრებში კლოზესთან ერთად თამაშობთ?**

- ცხადია, ეს უპირატესობაა. ძალიან რთულია ისეთი თამაშის გახსენება, როცა მე და მიროს ერთად თამაში არ წაგვივიდა და არაფერი გამოგვივიდა. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ლუკა ტონის ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდება ძალიან ძნელია. თუმცა ხომ შეიძლება, რომ 4-3-3-ით ვითამაშოთ? ასეთ შემთხვევაში, კლოზე, ტონი და მე ერთად ვიასპარეზებთ.

**- ოტმარ ჰიტცფელდზე რას გვეტყვით?**

- ამ კაცზე ახალი რა უნდა ვთქვა? შესანიშნავი მწვრთნელია, რომელმაც ყოველთვის იცის, როგორ უნდა მოიქცეს. და მისი ყოველი ნაბიჯი მართებულია.

**- ფელიქს მაგათი უფრო იშვიათად გესაუბრებოდათ?**

- პირდაპირ გეტყვით: ჰიტცფელდმა ამ ორი თვის განმავლობაში უფრო მეტი რამ მითხრა, ვიდრე მაგათმა მთელი სეზონის განმავლობაში. განსხვავება უდიდესია.

**- მაგათმა თქვა, ბევრი ისეთი ფეხბურთელი შემხვედრია, ვინც პოდოლსკიზე გაცილებით ნიჭიერი იყო და იქვე დაამატა, ლუკასს ვერაფერი გავუგეო...**

- სწორად გამიგეთ, ჩემთვის ახლა მხოლოდ ორი მწვრთნელი არსებობს - ჰიტცფელდი და გერმანიის ნაკრების თავკაცი იოახიმ ლიოვი. მაგათი კი უკვე წარსულია. ფელიქსი აღარ არის "ბაიერნის" დამრიგებელი და სავსებით სამართლიანადაც.

**- იურგენ კლინსმანთან ურთიერთობა გაქვთ?**

- რა თქმა უნდა! მაგალითად, წინა კვირაში sms მომწერა - მალე გამოჯანმრთელება და წარმატებები მისურვა. ძალიან გამიხარდა და მაშინვე გადავურეკე. დიდხანს ვისაუბრეთ.

**გოტფრიდ ლენცი**



ლუკას პოდოლსკი



ფაბიო კანავარო

რეალი

# კანავაროს ანჩელოტი ინვევს

## რა ბედი ელის რობენს? მოარული ხმების თანახმად, ჰოლანდიელმა მოურინიო სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიმტერა

**ფაბიო კანავაროს** იტალიაში შესაძლო დაბრუნების შესახებ მითქმა-მოთქმა არ წყდება. კარგად იცით, რომ გულშემატკივრები პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის "იუვენტუსში" გამოჩენას ელოდნენ, მაგრამ "ბებერი ქალბატონის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, **კლაუდიო რანიერიმ** მისი შეძენისგან თავი შეიკავა. არადა, კანავარო დაუფარავად ამბობდა, "დელე ალპიზე" სიამოვნებით დავბრუნდებოდიო. კანავაროს ვედრება ყურად არავინ იღო. ერთი სიტყვით, "იუვეს" ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა, მაგრამ გუშინ შევიტყვეთ, რომ "რეალის" ცენტრალურ მცველს "მილანი" ეპატიჟება. "ლა გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნებული სტატია გვამცნობს: **კარლო ანჩელოტიმ ადრიანო გალიანის** ის არგუმენტები წარუდგინა, რომელმაც იტალიური გრანდის მმართველს კანავაროსთვის ბრძოლის წამოწყების სურვილი უნდა გაუჩინოს. სინიორ გალიანიმ მთავარ მწვრთნელს პირობა მისცა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს. თემის განსავრცობად ახლა უკვე ესპანური მედიის ინფორმაციებს გაგაცნობთ, "დიარიო ასში" ეწერა, **პრედრაგ მიატოვიჩი** მილანის "მილანის" გააქტიურებით აღფრთოვანებული დარჩა. სამეფო კლუბის გენერალური დირექტორი საკუთარ პოზიციას ჯიუტად იცავს და ამტკიცებს, რომ "რეალისთვის" კანავაროს გაყიდვა უფრო მომგებიანი იქნება. ბერნდ შუსტერი კი აბსოლუტურად განსხვავებულად ფიქრობს. გერმანელმა სპეციალისტმა პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, **რამონ კალდერონს** დაურეკა და კატეგორიულად სთხოვა, იტალიელი მცველი არ გაასხვისონ. სამეფო კლუბის კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, კალდერონი მიატოვიჩს პირადად შეხვდება და კანავაროს საკითხს მასთან საბოლოოდ გაარკვევს. მიმომხილველთა ვარაუდით, მადრიდული გიგანტის უმაღლესი ხელისუფალი მთავარ მწვრთნელს დაუჭერს მხარს.

ამასობაში, ინგლისურ მედიაში **არიენ რობენისა** და "ჩელსის" მესვეურებს შორის გართულებული ურთიერთობების შესახებ საინტერესო სტატია დაიბეჭდა. ბრიტანელი კოლეგები გვარწმუნებენ, რომ ჰოლანდიელმა გარემარბმა **რომან აბრამოვიჩთან** პირადად შეხვედრა შეძლო და რუს ოლიგარქს თამამად განუცხადა, რომ "არისტოკრატების" დატოვება და კარიერის სამეფო კლუბში გაგრძელების სურვილი ამოძრავებს. ამბობენ, **ჟოზე მოურინიო** ამ ამბით უკიდურესად აღშფოთებული დარჩაო. რობენს "გალაქსისთან" ამხანაგურ შეხვედრაში არ უთამაშია. არსებობს ორი ვერსია - "ჩელსის" ოფიციალურმა პირებმა აღნიშნეს, არიენს ტრავმა ჰქონდა და მოედანზე გასვლა ამიტომ ვერ შეძლოო, მაგრამ ტაბლოიდები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ჰოლანდიელმა მოურინიო სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდა. თუ ასეა, რობენის "რეალში" ჩარიცხვა ერთი-ორად გაადვილდება.

ბარსელონა. მზადება სრული სვლით

# პრეტემპორადა დაიწყო

## კატალონიელები შოტლანდიაში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდნენ

"ბარსელონა" მომავალი სეზონისთვის მოსამზადებლად შოტლანდიას გაემგზავრა. სენტ ენდრიუში კატალონიური გრანდი პრეტემპორადის პირველ ეტაპს ჩაატარებს. **ფრანკ რიიკაარდს** საუკეთესო პირობები ექნება იმისთვის, რომ შეგირდებთან აბსოლუტურად მშვიდ ატმოსფეროში იმუშაოს და შეკრების მიწურულს სპარინგ-მატჩიც ჩაატაროს. ცნობილია, რომ "ბარსა" "დანდი იუნაიტედს" დაუპირისპირდება.

რიიკაარდისთვის სამწუხაროდ, შოტლანდიაში გამგზავრება რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო. ყველაზე დასანანი, რა თქმა უნდა, **ლეო მესის** არყოფნაა. მოგეხსენებათ, ახალგაზრდა არგენტინელმა კოპა ამერიკა, ფაქტობრივად, შეუცვლელად ჩაატარა და ძალიან დაიღალა. ხელმძღვანელობამ მას ნება დართო, შვებულებაში წასულიყო. ანალოგიური მიზეზის გამო, რიიკაარდი ახლახანს გადაბირებულ **დიეგო მილიტოსთან** და **რაფა მარკესთანაც** ვერ იმუშავებს. "ბარსას" შოტლანდიაში **ედმილსონიც** არ ეყოლება. მას არც კოპა ამერიკაზე უთამაშია და ტრავმაც აღარ აწუხებს. აქედან გამომდინარე, ბრაზილიელის სახლში დატოვება უცნაურად ჩანს, თუმცა ბოროტი ენების თქმით, **ჩიკი ბეგირისტაინი** ედმილსონის გაყიდვაზე მუშაობს. გამორიცხული არ არის, სამხრეთამერიკელი უახლოეს დღეებში რომელიმე სხვა კლუბში აღმოჩნდეს. შოტლანდიაში წასვლამდე ზუსტად 12 საათით ადრე **ეიდურ გუდიონსენმა** "ბარსელონის" ბაზაზე ბრიყვული ტრავმა მიიღო. ისლანდიელი ფორვარდი მოედნის გარშემო თავისთვის, ნელი ტემპით დაძუნძულებდა, მაგრამ ფეხი აუცურდა და მარცხენა ბარძაყის კუნთი დაიჭიმა. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ტრავმირებული თავდამსხმელის გამგზავრებას არანაირი აზრი არ ჰქონდა. **პუიოლის** მძიმე ტრავმის შესახებ ყველამ კარგად იცით. ბუნებრივია, კარლესიც ბარსელონაში დარჩა.

კატალონიური გრანდი შოტლანდიას 28 ივლისს დატოვებს. ამის შემდეგ კი პრეტემპორადის მეორე ნაწილი დაიწყება. "ბარსა" მცირე ხნით მშობლიურ ქალაქში დაბრუნდება და რამდენიმე დღის შემდეგ პეკინისკენ აიღებს გეზს. 3-4 აგვისტოს რიიკაარდის ბიჭები ჩინეთის დედაქალაქში ინტენსიურად ივარჯიშებენ. 5 აგვისტოს კი გუანს გაემგზავრებიან და "ფენგტაისთან" ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ. ჩინური თავგადასავალი ამით დასრულდება. 6 აგვისტოდან "ბარსელონა" იაპონიაში გადაინაცვლებს. ამომავალი მზის ქვეყანაში ესპანურ გიგანტს ფრიად დატვირთული გრაფიკი ექნება. ორ დღეში რიიკაარდის ბიჭები ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ, 8 აგვისტოს კი ჰონგ კონგში ჩაფრინდებიან. მეგაპოლისში ისინი სულ რაღაც ორ დღეს დაჰყოფენ და ასევე ორ ამხანაგურ შეხვედრაში მიიღებენ მონაწილეობას. 11აგვისტოს "ბარსელონა" კატალონიაში დაბრუნდება. რიიკაარდი ოთხი დღის განმავლობაში ბიჭებს "მინი ესტადიზე" ავარჯიშებს, 15 აგვისტოს კი "კამპ ნოუზე" გამპერის თასის შეხვედრა გაიმართება. "ბარსა" მიუნხენის "ბაიერნს" უმასპინძლებს. სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად იმასაც მოგახსენებთ, რომ ესპანური გრანდი პირველ პრიმერადივიზიონურ მატჩში 29 აგვისტოს სანტანდერის "რასინგს" დაუპირისპირდება.

## ვერდერს ლუინდულა აინტერესებს

როგორც გუშინ ვიტყობინებოდით, მიროსლავ კლოზეს წასვლის შემდეგ, ბრემენის "ვერდერი" შეტევითი ხაზის გაძლიერებას ცდილობს და ამ მიზნით, "ბოლტონთან" ნიკოლა ანელკას ტრანსფერის თაობაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს.

პარალელურად, გერმანელები "პარი სენ-ჟერმენსაც" დაუკავშირდნენ და მათ ფორვარდ პეგი ლუინდულას შესახებ ჩამოუგდეს სიტყვა.

სხვათა შორის, ფრანგულ პრესაში ვრცელდება ჭორები იმის შესახებ, რომ სეზონის წინ, პარიზულ კლუბს რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს. მაგალითად, ბერნარ მენდი "სელტიკში" გადავა, ხოლო ჟერომ როტენის შეძენა "იუვენტუსსა" და "მარსელს" სურთ.

## ნიუკასლი ბაპტიშტაში 6 მილიონ იხდის

კოპა ამერიკას ერთ-ერთ გმირს ჟულიო ბაპტიშტას ახალი მყიდველი გამოუჩნდა. "ნიუკასლი" მზად არის, "რეალს" 6 მილიონი ფუნტი გადაუხადოს ბრაზილიელი ფორვარდის სანაცვლოდ. "იუნაიტედის" ახალი მთავარი მწვრთნელი სემ ელერდაისი ბაპტიშტაში თავისი გუნდის შეტევითი პოტენციალის გაძლიერებას ხედავს. თუმცა, სჯობს, ამ საკითხისადმი თავად ფეხბურთელის კომენტარს გავეცნოთ: *"ვფიქრობ, გასულ სეზონში დავამტკიცე ჩემი შესაძლებლობები, როცა "არსენალის" რიგებში გამქონდა გოლები. "ნიუკასლი" კარგი გუნდია, მაგრამ სანამ მის წინადადებას განვიხილავ, უნდა გავიგო, არის თუ არა დაინტერესებული ჩემი შენარჩუნებით "რეალი" და ვარ თუ არა მომავალ სეზონში მისი ახალი მწვრთნელის, ბერნ შუსტერის გეგმებში".*

## სტოიჩკოვი ბარსელონას ვუნდერკინდს ითხოვს

სეგუნდა დივიზიონში გავარდნილი "სელტას" მთავარი მწვრთნელი ხრისტო სტოიჩკოვი იმედოვნებს, რომ "ბარსელონადან" ერთწლიანი არენდით აიყვანს ვუნდერკინდად მიჩნეულ ბოაინ კრკიჩს. ამ მიზნით, ბულგარელი სპეციალისტი უკვე შეხვდა "ბარსელონას" გენერალურ დირექტორ ჩიკი ბეგირისტიანს და შეეცადა დაერწმუნებინა ის, რომ კრკიჩს სეგუნდა დივიზიონში მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ექნება და ეს ფეხბურთელის ზრდას შეუწყობს ხელს.

ცნობისთვის, კრკიჩის თაობაზე "ბარსელონას" მხოლოდ "სელტა" არ დაკავშირებია. ახალგაზრდა კანტერანოს გადაბირება "სოსიედადსა" და "აიაქსსაც" სურთ.

## შალკე: სამი ახალი კონტრაქტი

ლევან კობიაშვილის "შალკემ" სამ ფეხბურთელს კონტრაქტები გაუგრძელა. ესენი არიან კაპიტანი მარსელო ბორდონი, მისი მეწყვილე დაცვაში, მლადენ კრსტაიჩი და მეკარე მანუელ ნოიერი. ბორდონს კონტრაქტი 2009 წლამდე ჰქონდა გაფორმებული, მის ახალ ხელშეკრულებას კი, ვადა 2011 წლამდე აქვს. კრსტაიჩმა კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივა, ნოიერმა კი, რომელმაც შესანიშნავი სეზონი ჩაატარა, შაბათს კი, გერმანიის ლიგის თასზე, "კარლსრუესთან" მატჩში პენალტი მოიგერია, ხელშეკრულება 2012 წლამდე გაახანგრძლივა.

## დორტმუნდმა რომა გაანადგურა

კვირას, დორტმუნდის „ბორუსიამ" „ვესტფალენშტადიონზე" „რომას" ამხანაგურად უმასპინძლა და ყველასთვის მოულოდნელად, იტალიური გრანდი 4:0 გაანადგურა. BVB-დან ერთი გოლი იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ (რომელსაც კუბას ეძახიან) გაიტანა, ერთი დიეგო კლიმოვიჩმა, ნელსონ ვალდესმა კი დუბლი შეასრულა. ალსანიშნავია, რომ რომამ ძირითადი შემადგენლობით ითამაშა – კურჩი, პანუჩი (75. როსი), კივუ, ტონეტო (75. ფრედი), კასეტი, დე როსი (60. აკუილანი), მანსინი (60. ნონდა), პეროტა (60. ბარუსო), ბრიგი (46. პიზარო), ფერანტე (46. ალვარესი), ტოტი (46. ვუჩინიჩი).

დორტმუნდელებმა კი ამ შემადგენლობით ისპარეზეს: ვაიდენფელერი, ფ. დეგენი (46. კრინგე), ვიორნსი (69. ამედიკი), რ. კოვაჩი (69. ბრჟენსკა), დედე, კრინგე (62. გორდონი), კუბა (62. ვრზოგიჩი), ტინგა (46. ბაკლი), პეტრიჩი (46. ფედერიკო), სმოლიარეკი (46. კრუსკა), კლიმოვიჩი (46. ვალდესი).

## უგო ვიანა 3 თვეს გამოტოვებს

"ოსასუნას" ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, პამპლონელთა რიგებში ამ კლუბის ახალწვეულის, პორტუგალიელი უგო ვიანას დებიუტი კარგა ხნით გადაიდო.

ერთ-ერთ უკანასკნელ ვარჯიშზე ნახევარმცველმა მარჯვენა ფეხი მოიტეხა და ახლა მის მკურნალობას 3-4 თვე დასჭირდება.

ვალენსია

# კიკე ფლორესის ახალი სამიზნე კალსტრომია

### დელ ორნო ღამურების თავის ტკივილად იქცა. ბასკი მცველისა და დირექტორატის ურთიერთობა ჩიხში მოექცა

"ვალენსია" მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნავს. ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი როლი კიკე სანჩეს ფლორესს აკისრია. "ღამურების" მთავარი მწვრთნელი პრეზიდენტს იმ ფეხბურთელთა ჩამონათვალს აცნობს, რომელთა ხილვაც საკუთარ გუნდში სურს. ცნობილია, რომ სენიორ ფლორესს ლუჩო გონსალესის დამატება უნდოდა, მაგრამ მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. "პორტუ" არგენტინელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს ითხოვდა. კიკე ფლორესი იმედს ბოლომდე არ კარგავდა და სჯეროდა, რომ პორტუგალიური მხარე დათმობაზე წავიდოდა და თანხას მნიშვნელოვნად შეამცირებდა. მისთვის სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ხუან ბაუტისტა სოლერმა 25 მილიონის გადახდა არ ისურვა. "ვალენსიის" პრეზიდენტმა მწვრთნელს პირადად მოახსენა, ჩვენს ბიუჯეტს ამხელა ხარჯის გაწევის საშუალება არ აქვსო. კიკეს ისღა დარჩენოდა, ალტერნატიული ვარიანტები აემუშავებინა. ამჯერად მან კიმ კალსტრომის შეძენა მოითხოვა. ერთი შეხედვით, ტრანსფერი იოლად უნდა გაჩარხულიყო, მაგრამ "ლიონის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებების დაწყებასაც კი არ ჩქარობს. ფრანგებმა, მრავალი თხოვნის მიუხედავად, არც სავარაუდო სატრანსფერო თანხა დაასახელეს. სოლერი და ფლორესი ვარაუდობენ, რომ შვედ ნახევარმცველს იაფად არ შეელევიან, ამიტომ თადარიგი თავიდანვე დაიჭირეს და კოლეგებს საინტერესო წინადადებით მიმართეს. "ვალენსია" მზადაა, "ლიონს" სოლიდური თანხა და ფერნანდო მორიენტესი შესთავაზოს. წესით, ამ წინადადების შემდეგ ფრანგებს ხმა უნდა ამოეღოთ, მაგრამ კლუბის ოფიციალური პირები კვლავ დუმილს ამჯობინებენ.

სამაგიეროდ, ფრანგულ პრესაში კულუარული ინფორმაციები გამოჩნდა. ირკვევა, რომ კალსტრომს კარიერის პრიმერა დივიზიონში გაგრძელების პერსპექტივა ძალიან ხიბლავს. ფეხბურთელმა საკუთარ მენეჯერს საქმეში აქტიურად ჩართვა მოსთხოვა. შვედი ნახევარმცველის აგენტმა "ეკიპს" გაუმხილა, რომ "ვალენსიის" მიერ შეთავაზებული თანხა 12 მილიონ ევროს შეადგენს. მან დამატებით ფერნანდო მორიენტესის გასხვისების შესაძლებლობაც დაადასტურა. კალსტრომის მენეჯერი ფიქრობს, რომ ეს "ლიონისთვის" ძალიან მომგებიანი წინადადებაა. სხვათა შორის, წამყვანი მიმომხილველებიც ამასვე ამბობენ. მათი ვარაუდით, უახლოეს ორ კვირაში "ლიონი" შეთავაზებას დათანხმდება და კალსტრომი "მესტალიაზე" გააგრძელებს კარიერას.

ამასობაში, კიკე ფლორესს ახალი თავის ტკივილი გაუჩნდა. ასიერ დელ ორნო ხელფასის გაზრდას ითხოვს, "ღამურები" კი ამის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. ბასკ მცველს პირადად პრეზიდენტმა უთხრა, საკონტრაქტო პირობების გაუმჯობესების იმედი არ უნდა გქონდესო. კლუბის ხელმძღვანელს, დელ ორნოც არ მოერიდა და პირში მიახალა, მაშინ გამყიდეთო. ბაუტისტა სოლერმა საინტერესო წინადადება მოკლე დროში გამონახა. გუშინ გაირკვა, რომ ვალენსიელს თანამშრომლობას მიუნხენის "ბაიერნი" სთავაზობს. გერმანული გრანდი მზადაა, მესტალიელებს 15 მილიონი ევრო გადაუხადოს, თავად ფეხბურთელს კი წლიური გასამრჯელოს სახით 3.5 მილიონი ევრო დაუნიშნოს. როგორც ალმოჩნდა, დელ ორნო "ვალენსიაში" მხოლოდ 2.8 მილიონს ილებს. იმის გათვალისწინებით, რომ მას მეტი ფულის შოვნა სურს, "ალიანს არენაზე" გადაბარგება საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ აქ კიდევ ერთმა პრობლემამ გამოჰყო თავი. კერძოდ, საქმე ისაა, რომ ბასკს პრიმერა დივიზიონიდან აბარგება არ სურს. აისერს არ ავიწყდება, თუ რამდენად სერიოზულ პრობლემებს გადაეყარა "ჩელსიში" თამაშისას. უახლოეს წარსულში შეძენილი გამოცდილება ფეხბურთელს კარნახობს, რომ ესპანეთის ფარგლები არ უნდა დატოვოს. "ბარსელონის" შეთავაზებამ დელ ორნოს თითქოს სულზე მიუსწრო, მაგრამ რაოდენ ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს, პრობლემები აქაც უხვადაა. როგორც გითხარით, "ბაიერნი" 15 მილიონს იმეტებს, კატალონიურ გრანდს კი 10 მილიონზე მეტის გადახდა არ სურს. ბუნებრივია, ხუან ბაუტისტა სოლერისთვის უფრო მომგებიანი იქნება, დელ ორნო გერმანულ კლუბს მიჰყიდოს. ამიტომ მან "ბარსელონა" უარით გაისტუმრა. შეგახსენებთ, კარიერის ბავარიაში გაგრძელება თავად ფეხბურთელს არ სურს. როგორც ხედავთ, სიტუაცია მეტისმეტად ჩახლართულია. არავინ იცის, კვანძი როდის გაიხსნება.





დიდიე დროგბა

ინტერვიუ დიდიე დროგბასთან

# როგორც ყოველთვის, ხარივით ვარ!

### კოტ დ'ივუარელი გოლეადორი ცხოვრების ბოლომდე მოურინიოს და აბრამოვიჩის მადლიერი იქნება...

**დიდიე დროგბა იმ იშვიათი თავდამსხმელების სიაში შედის, რომლებიც ნებისმიერ მეტოქეს შიშის ზარს სცემენ. თავისი, თითქმის სრულყოფილი სტილით – შესანიშნავია მეორე სართულზე, აქვს უძლიერესი დარტყმა, საგოლე ალღო, უაღრესად შრომისმოყვარეა, დაუნდობელი და მუდამ მოტივირებული – დროგბა განუმეორებელია. ლონდონის „ჩელსის" კოტ დ'ივუარელ გოლეადორს გერმანული „კიკერის" კორესპონდენტი გაესაუბრა.**

**- დიდიე დროგბა, გასული სეზონის დასრულების შემდეგ ხომ არ ფიქრობდით, რომ ჟოზე მოურინიო გუნდს დატოვებდა?**

- არა! მიუხედავად იმისა, რომ ამაზე ძალიან ბევრს საუბრობდნენ და ბევრს მისი აბარგება დიდი ხნის გადაწყვეტილი ამბავი ეგონა, ჩვენ, ფეხბურთელები, დარწმუნებულები ვიყავით, რომ ჟოზე დარჩებოდა. მას მერე, რაც „ჩელსის" მთავარი მწვრთნელია, მოურინიომ ფანტასტიკური სამუშაო გასწია. ყოველ წელიწადს ჩემპიონები ვერ გავხდებით, ეს ფაქტია.

**- და რა იქნება მომავალ სეზონში? ახლა ხომ მაინც უნდა გახდეთ ჩემპიონები?**

- „მანჩესტერ იუნაიტედს" გრანდიოზული სეზონი ჰქონდა. მაგრამ აქ ისიც ალსანიშნავია, რომ ურთიერთშეხვედრებში ჩვენ ვაჯობეთ. მომავალ სეზონშიც ასე უნდა იყოს. ვფიქრობ, მანკუნიანელები ასე კარგად ველარ ითამაშებენ და ველარც კრისტიანო რონალდო იქნება ისეთი სოლიდური, როგორც წინა სეზონში იყო. ბოლოს და ბოლოს, მანქანა ხომ არ არის, ისიც ადამიანია და ჩავარდნა უნდა ჰქონდეს.

**- ლოგიკურად, ვინ უნდა გახდეს ინგლისის ჩემპიონი?**

- ჩემი აზრით, ბრძოლა ისევ მხოლოდ „მანჩესტერსა" და „ჩელსის" შორის უნდა გაიმართოს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება, რადგან „არსენალმა" ტიერი ანრი დაკარგა და ამ გუნდის მომავალი ბურუსითაა მოცული, „ლივერპული" კი ჩემპიონთა ლიგის გუნდი უფროა. სხვათა შორის, „ჩელსიში" ყველას გაგვიხარდა, როცა შევიტყვეთ, რომ ანრი „არსენალიდან" წავიდა. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ ერთი სერიოზული კონკურენტი ჩამოგვშორდა.

**- მოურინიოზე ბევრს საუბრობენ. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჟოზე ზედმეტად ამბიციური, ამპარტავანი და ერთი სიტყვით, უსიამოვნო პიროვნებაა. თქვენ როგორი ურთიერთობა გაქვთ მწვრთნელთან?**

- არ ვიცი, ვინ რას ამბობს მასზე, მე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: ჟოზე მოურინიო ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მოურინიომ და აბრამოვიჩმა იმის საშუალება მომცეს, რომ კარიერა ინგლისში გამეგრძელებინა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი გავმხდარიყავი. ამისთვის, ცხოვრების ბოლომდე ამ ორი ადამიანის მადლიერი ვიქნები.

**- ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ თქვენი „მილანში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო...**

- ყოველ ზაფხულს ასეა ხოლმე – დროგბა აქ მიდის, დროგბა იქ მიდის... ამ ზაფხულს „მილანზე" წერენ. „როსონერი" შესანიშნავი გუნდია და ჩემგან არაფერი დაეწუნება, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, უდიდესი გუნდი, სადაც თამაშზე ალბათ ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს. მაგრამ „მილანიდან" მართლა არავისთან მისაუბრია, არავინ დამკავშირებია. თანაც, „ჩელსიში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, ჩემსა და „ჩელსის" შორის პრობლემები არ არსებობს და ესეც არ იყოს, ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი კიდევ 4 წლით მაკავშირებს.

**- მომავალი სეზონისგან პირადად თქვენ რას ელით?**

- ახლა ძალიან კარგად ვარ. შესანიშნავად დავისვენე და ყველაფრისთვის მზად ვარ. ახალ სეზონს ხარივით მონდომებული და მოძლიერებული ვხვდები. სულ ასე ვარ ხოლმე და გამონაკლისი არც ეს შემთხვევაა. ჩემი მიზანი, ინგლისის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა.

**- ინგლისის ჩემპიონი უკვე ორჯერ იყავით. შესაბამისად, იქნებ ახლა ჩემპიონთა ლიგის მოგება უფრო მეტად გინდათ?**

- ჩემთვის აბსოლუტურად ყველა მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია. ამხანაგურ შეხვედრებშიც უაღრესად მონდომებული ვარ ხოლმე და ვარჯიშებზეც. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჩემპიონთა ლიგა განსაკუთრებული მოტივაციაა. თუნდაც იმიტომ, რომ ინგლისის ჩემპიონი უკვე ორჯერ გახლდით. ბოლოს და ბოლოს მინდა, რომ ევროპის ეს უზენაესი საკლუბო ჯილდო მეც მოვიგო. მით უმეტეს, რომ შარშან და შარშანწინ ჩემპიონთა ლიგაში ძალიან არ გაგვიმართლა.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ზოგჯერ დატვირთვა ზედმეტად მძიმეა?**

- ამ სეზონში იმდენი მატჩის ჩატარება მომიწევს, რამდენიც ჯერ არცერთ სეზონში არ ჩამიტარებია - "ჩელსისთან" და ნაკრებთან ერთად, აფრიკის თასზე. ეს ტურნირი იანვარ-თებერვალში, განაში გაიმართება. ჩემი სამშობლოს წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა მაკისრია და თავს ვალდებულად მივიჩნევ, რომ აფრიკის თასისთვის განსაკუთრებულად მოვემზადო.

**- ისევ ბომბარდირი გახდებით?**

- თუ ჩემი ნაკრები აფრიკის თასის ფინალში გავა, გამოდის, რომ პრემიერლიგაში მინიმუმ 4 მატჩს გამოვტოვებ. ეს კი, ჩემს კონკურენტებს, რა თქმა უნდა, უპირატესობას აძლევს. მაგრამ მთავარი ხომ ტიტულებია! ამ მხრივ კი, შარშანდელი აღარ უნდა გავიმეოროთ. „ჩელსიმ" ყველა ტურნირზე უნდა გაიმარჯვოს.

**გოტფრიდ ლენცი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხატვრული ტანვარჯიში

საქართველოს ჩემპიონატი

### დონაძის დონე ოქროა

სპორტის დეპარტამენტის დარბაზში დასრულდა საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ჩემპიონატები მხატვრულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 სპორტსმენი, საიდანაც შვიდი უფროსი იყო, რვა კი იუნიორი. ამას გარდა, ახალგაზრდების პირველობაზე, რამდენიმე უმცროსიც დაუშვეს, რომლებიც ასაკობრივი შეზღუდვის გამო, უკონკურსოდ ასპარეზობდნენ.

ეროვნულ ჩემპიონატში, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი ბრძოლა წარიმართა **ქეთი ხატიაშვილსა** და **თათია დონაძეს** შორის. საბოლოოდ, მრავალჭიდის ჯამში, დონაძემ ყველაზე ნაკლები შეცდომა დაუშვა და შესაბამისად, ოქროს მედალიც მოიპოვა. ხატიაშვილი მეორე იყო, ხოლო ბრინჯაო **ელენე გავარდაშვილს** დარჩა.

ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობდა **თამარ ვეკუაც**, რომელიც შარშან, თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, რუსეთის სახელით ასპარეზობდა.როგორც ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ელისო ბედოშვილმა** გვითხრა, ვეკუამ უკვე მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და ამიერიდან, სამშობლოს ღირსებას დაიცავს.

ახალგაზრდებში, ტრავმის გამო, საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვა ორმა წამყვანმა ტანმოვარჯიშემ - **ნინო ქურდაძემ** და **მერიამ ჯანტეზიმ**. მათი არყოფნით ისარგებლეს ტყუპმა დებმა **ქეთი და ნაზი ასიტაშვილებმა**, რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს. ჩემპიონობა კი არავის დაანება **ნათია ნაკაიძემ**.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტ **ნელი სალაძეს** გავესაუბრეთ: *"ტანმოვარჯიშეების გამოსვლით კმაყოფილი ვარ. შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ, თითქმის ყველას აშკარად ეტყობოდა პროგრესი. საქართველოს ყველა უძლიერესი ტანმოვარჯიშე ჩვენთანაა და მათი დიდი იმედი მაქვს. ჩვენი უახლოესი შეჯიბრება, 8-18 აგვისტოს, ტაილანდის ქალაქ ბანგკოკში გასამართი მსოფლიო უნივერსიადაა, სადაც საქართველოს ჩემპიონ თათია დონაძესა და ვერცხლის პრიზიორ ქეთი ხატიაშვილს წავიყვანთ...*

#### უფროსები

**მრავალჭიდი**
1. თათია დონაძე
2. ქეთი ხატიაშვილი
3. ელენე გავარდაშვილი

**სახტუნელა**
1. თათია დონაძე
2. ქეთი ხატიაშვილი
3. თამარ ვეკუა

**გურზები**
1. თათია დონაძე
2. ქეთი ხატიაშვილი
3. ელენე გავარდაშვილი

**რგოლი**
1. ქეთი ხატიაშვილი
2. თათია დონაძე
3. ელენე გავარდაშვილი

**ბაფთა**
1. ქეთი ხატიაშვილი
2. ელენე გავარდაშვილი
3. თათია დონაძე

#### გოგონები

**მრავალჭიდი**
1. ნათია ნაკაიძე
2. ქეთი ასიტაშვილი
3. ნაზი ასიტაშვილი

**სახტუნელა**
1. ნათია ნაკაიძე
2. ქეთი ასიტაშვილი
3. ნაზი ასიტაშვილი

**ბურთი**
1. ნათია ნაკაიძე
2. ქეთი ასიტაშვილი
3. ანა კალაჩევა

**რგოლი**
1. ნათია ნაკაიძე
2. ქეთი ასიტაშვილი
3. ნაზი ასიტაშვილი

**ბაფთა**
1. ნათია ნაკაიძე
2. ქეთი ასიტაშვილი
3. ნაზი ასიტაშვილი

## ჩოგბურთი

კოკა კოლას თასი

### ხუთი ქართველი ძირითად ბადეში

გუშინ "კოკა-კოლას" თასზე მეორე საკვალიფიკაციო დღე იყო. უნდა გამოვლენილიყო ძირითად ბადეში გამსვლელი 8 ჩოგბურთელი. სტარტი აქაც, ისევე როგორც ძირითად ბადეში, 32 მონაწილემ აიღო, მათ შორის ქართველი შვიდი გახლდათ. სამწუხაროდ, რვეულში მოხვედრა მხოლოდ ერთმა შეძლო და ეს **რეზო ოსაძეა**. რეზომ პირველ წრეში **ლაზარე კუხალაშვილი** დაამარცხა - 6:2; 6:2; მეორე ეტაპზე კი ებრაელ **კონსტანტინ ბლანკს** აჯობა - 6:3; 6:2. იმედი გვქონდა, რომ რეზოს ვინმე ჩვენებური მხარს აუბამდა, მაგრამ სამმა პირველ დღესვე დაასრულა ასპარეზობა, მეორე სამეულმა კი მეორე დღეს შეწყვიტა ასპარეზობა: **ბექა ბუჩუკური** საკვალიფიკაციოს პირველ ფავორიტთან, არგენტინელ **მათიას ნიემიცთან** დაყარა ფარ-ხმალი - 0:6; 2:6; **დემეტრე თაქთაქიშვილმა** ებრაელ **უტაი ლეკის** კი აჯობა სამ სეტში - 7:6 (3); 2,5; 6:4, მაგრამ შემდეგ **სომეხ ჰარუტუნ** სოფიანთან ვერას გახდა. წააგო ასევე **გიორგი ნავროზაშვილმა** - სლოვაკი **მიხალ პაზიცკი** მეოთხედ იყო განთესილი და იძალა კიდეც - 6:2; 6:3.

საკვალიფიკაციოდან ძირითადში საბოლოოდ მოხვდნენ: **მათიას ნიემიცი (არგ); ჰარუტუნ სოფიანი (სომხ); გუი კუბი (ისრ); მიხალ პაზიცკი (სლკ); სტანისლავ ჟურავსკი (რუს); რეზო ოსაძე (საქ); მიხაილ კარპოლი (ხორ) და ჯეიმს მაკგი (ბრიტ.).**

ძირითად ბადეში 32 მონაწილეა, აქედან 8 განთესილი. პირველი ნომერი რუსი **მიხაილ ელგინია** (493-ე ჩოგანი მსოფლიოში); მეორე ნომერი ფრანგი **კლემან მოსელია** - 525; მესამეა **ლადო ჩიხლაძე**, რომელსაც მსოფლიო რეიტინგში 543-ე ადგილი უჭირავს დღეისთვის, მაგრამ ქართველთა შორის პირველია - გახსოვთ, რომ ტრავმის და იძულებული უქმობის გამო **ირაკლი ლაბაძეს** შარშანდელი, კერძოდ, უიმბლდონზე მოპოვებული ქულები დააკლდა და მეცხრე ასეულში ალმოჩნდა... ჩიხლაძის გარდა, როგორც უკვე იცით, რეზო ოსაძეც თამაშობს მთავარ ტურნირს; კიდევ სამ ქართველს ვხედავთ, რომელთაც მხოლოდ უაილდ ქარდის წყალობით მიეცათ შანსი. ესენია: **გიორგი ხრიკაძე, გიორგი ჭანტურია და ნიკოლოზ ქურდაძე.**

არც ერთი ქართველი ერთმანეთს პირველ წრეში არ დაუპირისპირდება: ლადო ჩიხლაძის მეტოქე რუსეთის წარმომადგენელი, ურეიტინგო და ასევე "უაილდ ქარდის" მფლობელი **იგორ რუდი** იქნება. ხრიკაძე ბრიტანელ **როს კონოლს** (1037) შეხვდება; ოსაძის მეტოქე რუსი **მიხაილ ლივშიცია** (919); გიორგი ჭანტურაი მეექვსე ნომრად განთესილი ჩეხის **დანიელ ლუსტიცის** დამარცხებას ეცდება. ყველაზე ძლიერი მეტოქე კი ნიკოლოზ ქურდაძეს ჰყავს - მეორე ნომერი ფრანგი კლემან მორელი (525).

თამაშები იან ჰომერის კირტებზე დილის 10 საათიდან დაიწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

## ბელგრადი 2007

*პირველი გვერდიდან*

### მედლების წვიმისა და წვიმის მოლოდინში




ავტორის ფოტო

დასანანი მარცხი იწვნია ჩოგბურთელმა **გიორგი ხმიადაშვილმა**. მისი მეტოქე ესპანეთიდან **რობერტო ორტეგა** ამ ასაკის ევროპის კლასიფიკაციაში 321-ე ნომერია, გიორგი კი 90-ე. შეხვედრის დებიუტი ცუდს არაფერს გვიქადდა. ხმიადაშვილი 4:1 დაწინაურდა და თითქოს გამარჯვებაც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. პირენეელმა ჩოგბურთელმა სადავეები ხელთ იპყრო და მატჩის სათავისოდ შემოტრიალება შეძლო.

*"არ ვიცი რა დამემართა. ალბათ გამარჯვება ნაადრევად ვირწმუნე და დავისაჯე. მართალია ჩემი მოწინააღმდეგე ძლიერი ჩოგბურთელია, თანაც ესპანელები თიხნარზე ტრადიციულად კარგად თამაშობენ, მაგრამ ეს ჩემს მარცხს სრულებითაც არ ამართლებს. მოგება შემეძლო და ძალზედ გულდაწყვეტილი ვარ. მაქსიმალურად შევეცდები დანაკარგი შერეულ წყვილთა ტურნირზე ავინაზღაურო".* - მითხრა გიორგი ხმიადაშვილმა.

გაირკვა **ეკა გოროზიას** მეტოქის ვინაობა - მას პირველ წრეში ჩვენი გუნდის პრესტიჟის დაცვა ბელარუს **პალინა პეკავასთან** მოუწევს.

24 ივლისიდან ასპარეზობაში ჩვენი მთავარი იმედი - ძიუდო ებმება. თავდაპირველად მედლებისთვის ბრძოლაში მსუბუქი წონის კიმონოსნები ჩაერთვებიან. ვაჟებში ტატამზე **ოთარ კაიდარაშვილი** (50) და **გიორგი რატიანი** (55), ხოლო გოგონებში **გულნაზ თინიკაშვილი** (44) და **ნათია როსტომაშვილი** (48) გავლენ. მწვრთნელი **გურამ მოდებაძე** კენჭისყრით კმაყოფილია, თუმცა მაინც ფრთხილობს და პროგნოზებისგან თავს იკავებს. ზუსტად ამ სტრიქონების წერის დროს მოდებაძე შეგირდებს სავარჯიშოდ მიუძღვება და მცირე კომენტარიც ვთხოვეთ - *"ძიუდო მუდამ დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს. ჩვენ წარუმატებლობის უფლება არ გვაქვს და არც ბელგრადში უნდა შევირცხვინოთ თავი, ეს ქალაქი ხომ ჩვენთვის ასე იღბლიანია. ბიჭები საბრძოლო განწყობაზე არიან და ვნახოთ რა გამოვა. ჩვენ ცდას არ დავაკლებთ".* - გვითხრა მან.

ძიუდოსთან ერთად შეჯიბრებაში ჩაერთვებიან მძლეოსნები - **სალომე რიგიშვილი** (ბადროს ტყორცნა), **ლიკა დვალიშვილი** (სიმაღლეზე ხტომა), **გაიანე უსტიანი** და **ენდრიკ ზილბერშტეინი** (400 მ. გარბენი), ასევე მაგიდის ჩოგბურთელები **ვირაბ კაზარიანი, ნონა მარქარიანი**, სპორტული ტანმოვარჯიშე **მარიამ თუთბერიძე** და ველოსიპედისტები 8-კილომეტრიან დისტანციაზე.

აქვე ორიოდე სიტყვით თამაშების სხვა ორგანიზაციურ საკითხებზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას, რომელიც აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებს. მთავარ პრესცენტრში ინფორმაციის მისაღებად შედეგები იქნება ეს თუ სხვა რამ, ჟურნალისტებს საათობით გვიხდება ლოდინი. ტრანსპორტირების მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ თბილისში მოძრავი ყვითელი ავტობუსების მსგავსად კონდიცირება აქაც არ მუშაობს. "ბელგრადი 2007-ის" საორგანიზაციო კომიტეტშიც სხვადასხვა დელეგაციის მისიის ხელმძღვანელთა მხრიდან საჩივარი საჩივარზე შედის.

დაბოლოს, ერთსაც დავამატებდით - თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ხორვატიის დელეგაციას ალლუმზე გამოსვლა გამაყრუებელი სტვენის ქვეშ მოუხდა, ყველასთვის გასაკვირად 10 ათასამდე დამსწრე გულშემატკივარი ალბანეთის გუნდს არცთუ ისე ცუდად შეხვდა.

ცერემონიალი "პარტიზანის" საფეხბურთო სტადიონზე უნდა გამართულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში ორგანიზატორებმა მისი ჩატარება საკალათბურთო დარბაზ "ბელგრად არენაზე" გადაწყვიტეს. ეს ის არენაა, სადაც წელს ძიუდოში ევროპის პირველობა ჩატარდა და ჩვენთვის წარმატებული გამოდგა.

"ევროსპორტის" საშუალებით გულშემატიკვარს შეეძლო ცერემონიალი პირდაპირ ეთარში ეხილა და ვინც ნახა, ალბათ დამეთანხმება, რომ ჩვენი გუნდი ცერემონიალზე საკმაოდ სიმპათიური სპორტული ფორმით წარდგა.

შესავალ სიტყვაში ეოკ-ის პრეზიდენტმა **პატრიკ ჰიკმა** მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გაწეული მუშაობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ასპარეზობა "სამართლიანი პრინციპების" დაცვით ჩაივლის. ოლიმპიური ცეცხლის დანთების პატივი ტყვიის სროლაში ოლიმპიურ ჩემპიონს **იასნა სეკარიცს** ხვდა წილად. ბელგრადი 28 ივლისამდე ოლიმპიური ფესტივალით ცოცხცლობს, რაც ქალაქში გავლისას კარგად იგრძნობა.

ბოლოს კი დავძენთ, რომ გახსნის ცერემონიალის პარალელურად სერბეთის დედაქალაქში კალათბურთის ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი მიმდინარეობდა, სადაც მასპინძლებმა დრამატულ ბრძოლაში ამერიკელები დაამარცხეს. უკან, ოლიმპიურ სოფელში მიმავალ გზაზე მოზეიმე ბელგრადელების ყიჟინას ბევრ ადგილას წააწყდებოდით.

## პლაჟბურთი



### გშტაადი, გეორგია და საქართველო

*პირველი გვერდიდან*

*"გშტაადში მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვას ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა. დაგვცინოდნენ კიდეც. პესიმისტების ჯიბრზე ძალღონე არ დავიშურეთ დათქმული დროისთვის ყველა საორგანიზაციო საკითხი დადებითად გადაგვეჭრა. ვფიქრობ და თქვენც თავად დარწმუნდებით გშტაადი პლაჟბურთის მსოფლიო ფორუმს ღირსეულად უმასპინძლებს."*-თქვა ერიკამ პრესკონფერენციაზე.

პატარა ექსკურსი ისტორიაში. გშტაადში წლეულს რიგით მეექვსე მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება. პირველმა საპლაჟბურთო მსოფლიო ფორუმს 1997 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ლოს ანჯელესმა უმასპინძლა; მეორე 1999 წელს მარსელში ჩატარდა. ორი წლის შემდეგ მსოფლიოს უძლიერესი პლაჟბურთელები ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში შეიკრიბნენ; 2003 წელს მასპინძელი უკვე რიო დე ჟანეირო იყო; ორი წლის წინ მასპინძლობის უფლება ბერლინს ერგო წილად.

წლეულს შეჯიბრში ვაჟთა და ქალთა 96 წყვილი ისპარეზებს. 48 დუეტი 12 ჯგუფში იქნება განაწილებული. აქედან შემდეგ ეტაპზე ბრძოლას მეთექვსმეტედფინალიდან 32 გუნდი გააგრძელებს. ჯგუფებში პირველ და მეორე ადგილებზე გასულებს რვა საუკეთესო მესამე ადგილზე გასული დაემატება. ამის მერე ბრძოლა ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება, წააგე - წადი.

მსოფლიოს ამ ჩემპიონატს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომ ენიჭება, რომ მასზე სარეკორდო ფულადი ჯილდოა დაწესებული და სარეიტინგო ქულებიც რამდენჯერმე იზრდება, რამაც საოლიმპიადო ლიცენზიის ჩათვლაზე შეიძლება უდიდესი გავლენა იქონიოს. საპრიზო ფონდი მილიონი ამერიკული დოლარია. ჩემპიონი წყვილი 60 ათას დოლარს მიიღებს, რეიტინგში კი 1000 ქულას ჩაიწერს.

ფავორიტები, როგორც ვაჟებში ისე ქალებში ბრაზილიელები არიან. ვაჟებში პირველობას **ემანუელსა** და **რიკარდოს** თანამემამულეები **მარსიო არაუჟო და ლუიშ მაგალიაეში** შეეცილებიან. მათ დავაში შესაძლოა ჩაებას ჩინელთა დუეტი **პენგენ ვუ** და **ლინიინ ხუ**. ქალებში საქმე ოდნავ არეულადაა ბრაზილიელების **ლარისა ფრანკასა** და **ჯულიანა ფელისბერტას** კონკურენტები ამერიკელები, ოლიმპიური ჩემპიონები **მისტი მეი** და **კერი ველში** არიან. სიურპრიზი შესაძლებელია შემოგვთავაზონ ჩინელებმა **ძია ტიანმა** და **ძიე ჭანკმა**, ასევე ბრაზილიელებმა **ლეილა ბაროშმა** და **ანა პაულა კონელიმ**.

რაც შეეხება ჩვენს ფრენბურთელებს, მართალია ისინი ფავორიტებად არ განიხილებიან, მაგრამ განსაკუთრებით ვაჟებში, გეორ-გიამ საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვა და ყველასათვის უკვე ანგარიშგასწევ ძალად მიიჩნევა. ცოტა მეტი გარჯა მართებთ ქალებს. თუმცა კულუარებს მიღმა ამბობენ, რომ საქა-რთველოს მეტი პერსპექტივა აქვს, ვიდრე გეორ-ეგიას. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო. ამ შეჯიბებაში უნდა გამოჩნდეს რეალურად, რა პოტენციალი გააჩნიათ ჩვენს ფრენბურთელებს.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა

მსოფლიო ჩემპიონატის წინ. მეტოქეები

## მუსულბესი ჭიდაობას უბრუნდება

### სხვა რა ხდება რუსეთის ნაკრებში?

ლუკა კურტანიძისა გაგვიკვირდა, სპორტიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება რომ შეცვალა, და აგერ, რუსეთის ჭიდაობის ფედერაციამ მთლად სენსაციური ამბავი გვამცნო - 3-წლიანი განშორების შემდეგ დიდ სპორტს 35 წლის **დავიდ მუსულბესი** უბრუნდება. ქართული ფესვების მქონე ოლიმპიური, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი დიდი სპორტიდან ათენის ოლიმპიადის წინ წავიდა და რუსეთის ნაკრების მწვრთნელად მუშაობდა - 96 და მძიმე წონების ფალავანთა მომზადებას მეთვალყურეობდა. იგი ჯერჯერობით არ ლაპარაკობს მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლაზე ან პეკინის ოლიმპიადაზე. უფრო საკუთარი თავის გამოცდა სურს და ამ მიზნით აგვისტოში პოლონეთის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებს. *„ძალიან მინდა ხალიჩაზე დაბრუნება, ვნახო, რა შეიცვალა ამ პერიოდში, როგორ გაუძლებს დატვირთვებს ჩემი ორგანიზმი. ამჟამად ფუნქციონალურად და ფიზიკურად ვემზადები, დავრბივარ და ვვარჯიშობ. თუ პოლონეთში ჩემმა გამოსვლამ დამაკმაყოფილა, წყნარად მოვემზადები სამომავლოდ."* - განაცხადა სახელოვანმა ფალავანმა.

იმავე ინტერვიუში მან უარყო სლოვაკეთის ნაკრებში გადასვლის შესახებ გავრცელებული ხმები, თუმცა განმარტა, რომ ასეთი წინადადება მართლაც მიიღო. მუსულბესმა ისიც აღნიშნა, რომ ამ სამსეზონიანი პაუზის დროს არაერთმა ფედერაციამ მოინდომა მისი გადაბირება, თუმცა მაგალითად მხოლოდ ყაზახეთი დაასახელა.

მუსულბესის ამ გადაწყვეტილებაზე რუსეთის ნაკრების ან ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელთა პოზიცია უცნობია. გასაგებია, რომ ხელს არ შეუშლიან, მაგრამ საკითხავია, თავად რეალურად სჯერა წარმატებისა? ის თავისი ეპოქის გამორჩეული ფალავანი გახლდათ, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მოჭიდავე და ლეგენდარული ფალავანი, რომელსაც 2000-2003 წლებში პირველხარისხოვანი ტურნირი არ წაუგია. ამ პერიოდში მოიგო ოლიმპიადაც, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი გახდა და სამჯერ - ევროპისა, მაგრამ ასაკი თავისას შვრება. თან, სამწლიანი პაუზაც თავისას იზამს...

თუმცა ახალი წესები მისი გამოცდილების პატრონს ნაკრებში ადგილის დაბრუნების შანსს ნამდვილად აძლევს. ამ წესებით მოჭიდავეს დიდი გამძლეობა უკვე არ მოეთხოვება და ძალიან ბევრ რამეს მონეტა წყვეტს. ეს უფრო ტაქტიკური ჭიდაობაა, რაშიც გამოცდილება დიდად წაადგება.

არადა, მძიმე წონაში რუსეთის ნაკრებში კონკურენცია ისედაც გაიზარდა - ორიოდ კვირის წინ დასრულებულ ქვეყნის პირველობაზე წონის აქამდელი ლიდერი, ევროპის ხუთგზის და მსოფლიო ჩემპიონი **კურამაგომედ კურამაგომედოვი** თავისივე თანამემამულესთან, დაღესტნელ **ბილიალ მახოვთან** დამარცხდა. თუმცა ეს ჩემპიონატის ერთადერთი სენსაცია არ ყოფილა - ორგზის ოლიმპიური, 6-6 გზის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, წლების განმავლობაში დაუმარცხებელი **ბუვაისა საიტიევი** ევროპის ჩემპიონ **მახაჩ მურთაზალიევთან** დამარცხდა... იქით სკანდალურად და მასობრივი არეულობებით დამთავრებული 84-ის ფინალი დაღესტნელ **საჯიდ საჯიდოვსა** და ოსეთში გადახვეწილ **გიორგი კეტოევს (ქეთიშვილს)** შორის, როცა ფავორიტის მარცხით გაგულისებული ლეკი ქომაგები ხალიჩაზე შეიჭრნენ და ვიდრე სპეცრაზმი გონს მოეგებოდა, დარბაზში ყველაფერი დალეწეს (მოგვიანებით იმ სპეცრაზმელების წინააღმდეგ მოვალეობის შეუსრულებლობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა). მსაჯებმა თავდაპირველად გამარჯვება კეტოევს მიანიჭეს, მაგრამ მეორე დღეს ფედერაციამ გადაწყვეტილება შეცვალა და ჩემპიონად ორივე გამოაცხადა... ესეც ჩემპიონატის კიდევ ერთი კურიოზი, თუმცა არა უკანასკნელი - 60-ში ასევე ორი ჩემპიონი, ამჯერად ძმები გამოაცხადეს, ოლიმპიური ჩეპიონი **მევლატ ბატიროვი** და მისი უმცროსი ძმა **ადამი**.

მოკლედ, ჩემპიონატმა რუსეთის ნაკრების თავკაც **ჯამბულათ თედეევს** ისედაც ბევრი საფიქრალი დაუტოვა. იმის მიუხედავად, რომ მან მახოვს პირველობის აღმოჩენა უწოდა, აცხადებს, რომ რუსეთის ჩემპიონობა სექტემბერში ბაქოში, მსოფლიო პირველობაზე გამოსვლის გარანტიას არ იძლევა და იქ წასაყვანი ნაკრები პოლონეთის ტურნირზე გამოვლინდება. მისი თქმით, ჩემპიონებსა და მათ კონკურენტებს შორის სხვაობა მეტად მცირეა და ამიტომ შანსს ყველას მისცემს. ერთადერთ გამონაკლისად მან **ბესიკ კუდუხოვი** (55) დაასახელა, რომელიც მწვრთნელთა საბჭომ გაათავისუფლა. თედეევი იმასაც აღიარებს, რომ 84-ში ორი ჩემპიონის გამოცხადება დიპლომატიური ნაბიჯი იყო.



დავიდ მუსულბესი

სხვათა შორის, ამ ინციდენტს კრასნოიარსკიდან ცნობილი მწვრთნელი, ერთ დროს რუსეთის ნაკრების თავკაცი **დიმიტრი მინდიაშვილიც** გამოეხმაურა და მომხდარი საჯიდოვის მწვრთნელს დააბრალა. *„სწორედ მწვრთნელის გამოხტომებმა და რეპლიკებმა გამოიწვია მაყურებლის პროვოცირება. მსგავსი რომ საფეხბურთო მატჩისას მომხდარიყო, მწვრთნელს დაუყონებლივ მისცემდნენ დისკვალიფიკაციას რამდენიმე მატჩით, ან სულაც სეზონის ბოლომდე. აჯობებს, ამ პრაქტიკას რუსეთის ჭიდაობის ფედერაციაც თუ გადმოიღებს".*

ცხადია, იგი თავისი მოსწავლეების - ძმებ საიტიევების წარუმატებლობასაც შეეხო და ეს ყველაფერი ტრავმებს დააბრალა. მისი თქმით, ძმებმა ვარჯიში ჩემპიონატამდე ორი თვით ადრე განაახლეს და ფორმაში არ იყვნენ. აქედან გამომდინარე, იგი ბუვაისას გამოსვლით კმაყოფილია, რადგან ეს მისთვის მაინც გამოსაცდელი ტურნირი იყო, ხოლო თუ ტრავმამ არ შეუშალა ხელი, გაისად ჩვეულ ფორმაში შევა. რაც შეეხება ადამს, მწვრთნელის აზრით, მას ნახევარფინალში საჯიდოვთან ფიზიკური მომზადება არ ეყო. თანაც, საზარდული იტკინა და მერე ვერც ბრინჯაოსთვის იჭიდავა.

**ირაკლი თავაძე**

სპორტული მედია

## ოლიმპიელი

**გამოვიდა** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოველკვირეული ფერადი ჟურნალი "ოლიმპიელი". გთავაზობთ სეოკ-ის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის წერილს, რომლითაც ჟურნალის ეს ახალი ნომერი იხსნება.

როცა "ოლიმპიელის" ერთგული მკითხველი ჟურნალის ამ ნომერს მიიღებს, ერთი წელი იქნება დარჩენილი 29-ე ოლიმპიურ თამაშებამდე - პეკინის ფინიშის სწორზე გავედით.

თამაშების საგზურები ძირითადად შემოდგომაზე განაწილდება, თუმცა წარსული წლების გამოცდილების საფუძველზე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში 35-40 ათლეტი იქნება.



რაოდენობრივი პროგნოზირება შედარებით იოლია. შედეგების პროგნოზირება კი - გაცილებით ძნელი. ბევრი სპეციალისტი ერთნაირია იმაში, რომ ათლეტებს პეკინში ურთულესი სტარტები ელით და იქ მედლების მოპოვება მართლაც რომ გმირობის ტოლფასი იქნება. პეკინის მედალი - სპორტსმენისა და მისი შტაბის ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების მხოლოდ მაქსიმალურ ზღვარზე წარმოჩენის შემთხვევაში იქნება მიღწევადი.

დევიზი "უკეთ, ვიდრე ათენში" კვლავაც ძალაშია. თუმც კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ოქროს მედლების რაოდენობრივად გაუმჯობესება ძალზე პრობლემატურია. მაგრამ ამავე დროს მედლების რიცხოვნობა, ჩემი აზრით, ოთხით არ უნდა შემოიფარგლოს. დღევანდელი გადასახედიდან ობიექტურად 12-15 ჩვენს სპორტმენს აქვს ყველა მონაცემი - ნიჭიერება, გამოცდილება, შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა, ტიტულები - რომ სერიოზული პრეტენზია ჰქონდეს ოლიმპიურ მედალზე. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სავარაუდო მედალოსანთა რიცხვიდან პროგნოზი ყოველი მესამის მიმართ მართლდება ხოლმე.

მაგრამ მედლებამდე ჯერ კიდევ დიდი და რთული გზაა, ჯერ კიდევ ძალზე ბევრი ოფლია დასაღვრელი. ჩვენმა მწვრთნელებმა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცონ მათი მაღალი პროფესიონალიზმი, სპორტულმა მედიკოსებმა, ფსიქოლოგებმა, ფედერაციების ხელმძღვანელებმა, სპორტული სტრუქტურების თავკაცებმა, სპორტულმა ჟურნალისტებმა, გულშემატკივრებმა კი თავისი წილი მოვალეობისა თუ პასუხისმგებლობისა უნდა აიღონ თავის თავზე. მთავარია, არ დავუშვათ შეცდომები თამაშებისთვის მზადების ეტაპების განსაზღვრაში, გავაანალიზოთ, რბილად რომ ვთქვათ, ის ხარვეზები, რომლებიც ამ მხრივ გვქონდა ათენის წინ. არის კიდევ ერთი საშიშროება - წარმატებულმა 2006-2007 წლების სეზონმა ყურადღება არ მოგვადუნებინოს, უძლეველობის თუ ვარსკვლავური სენის ბაცილები არ მოგვეძალოს. და კიდევ ერთი - სპორტსმენთა, მწვრთნელთა თუ სამედიცინო პერსონალის მაქსიმალურ ძალისხმევას კარგი ფონი, სოლიდური ლობი, წინასწარი სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფა სჭირდება.

ეს კი უკვე ჩვენი, ხელმძღვანელების მოსაგვარებელია.

**ბადრი პატარკაციშვილი**
სეოკ-ის პრეზიდენტი

სპორტის აკადემია

## ცრემლები საჭიდაო სარბიელზე

ქართული ჭიდაობის ახალი ღია სარბიელი, სპორტის აკადემიის ეზოში ამ ორი წლის წინათ მოეწყო და ასპარეზობებიც ხშირად ტარდებოდა. გუშინ, ამ არენის ირგვლივ შემოჯარული იყვნენ აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტთა ნაწილი, ოღონდ არც საჭიდაო ჰანგები ისმოდა და არც ცეცხლოვანი შერკინებების თანმხლები ყიჟინა. გაოგნებული ადამიანები ერთმანეთს უზიარებდნენ მწუხარებას, საჭიდაო წრეში ჩამდგარი ტელეკამერები კი მათ გამომეტყველებას აფიქსირებდა.

აკადემიის შენობის შესასვლელი უკვე პოლიციას ჰქონდა ჩაკეტილი და შიგნით არავის უშვებდა. ვერ გეტყვით, ტელეკამერებმა დააფიქსირეს თუ არა, მაგრამ, ალბათ, ბევრი შენიშნავდა ვეტერანი პროფესორ-მასწავლებლების თვალებში ჩამდგარ ცრემლს, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც 50-60 წელიწადი ილვაწეს აკადემიის კედლებში და ამჟამად კოლეგების თანადგომისთვის მივიდნენ სასწავლებელში...



ჰაერნაოსნობა

## პრიზი - 100 ლიტრი კახური ღვინო




ეს იქნება პირველი ასპარეზობა, მომავალში კი ყოველწლიურად ჩატარდება და ტრადიციად დამკვიდრდება საქართველოს ჩემპიონატი მოტო-დელტოპლანერიზმში. გადაწყვეტილება ამის თაობაზე სოლიდარულად მიიღეს ორგანიზატორებმა - ავიაციის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი **დავით ველიაშვილი**) და ჰაერნაოსნობის ფედერაციამ (პრეზიდენტი **რევაზ უთურგაული**).

გუშინ ორივე ორგანიზაციამ ავიაციის ეროვნული ფედერაციის ოფისში გამართა საგანგებო პრესკონფერენცია ჩემპიონატთან დაკავშირებით. როგორც ითქვა, პირველ ასპარეზობას ნატახტარის აეროდრომი უმასპინძლებს 28 ივლისს. ჩემპიონატის მხარდამჭერია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაცია. მთავარ საინფორმაციო მხარდამჭერთა შორისაა გაზეთი "ლელო".

*"ცაში მოასპარეზეთა შორის ვიხილავთ, როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის ჰაერნაოსნებს. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ავიამოდელიზმი. დელტოპლანერიზმი ექსტრემალური სპორტის სახეობაა და ამჟამად უფრო საჩვენებელი დატვირთვა ექნება ასპარეზობას. აგრეთვე ეს იქნება თავისებური შოუ. გამარჯვებულები გამოვლინდებიან ცალკეულ პროგრამაში. ერთ-ერთ პრიზად კახური ღვინით სავსე 100-ლიტრიანი კასრია დაწესებული"*, - თქვა **რევაზ უთურგაულმა**.



ჰოპკინსი რაიტს უტევს

ქვემძიმე წონა

# ჰოპკინსი კვლავ ჩემპიონია

**ბერნარდ ჰოპკინსმა** ლას ვეგასში ქულებით მოუგო **ვინკი რაიტს** და მიუხედავად იმისა, რომ მათი წონა არცერთი წონითი კატეგორიის ფარგლებში არ ჯდებოდა, მაინც შეინარჩუნა ჟურნალ "რინგის," ეგრეთ წოდებული, უნივერსალური და, IBO-ის - კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია) ქვემძიმე წონის ტიტული, რომელიც ჯერ კიდევ შარშან, **ანტონიო ტარვერთან** გამარჯვებით მოიპოვა.

სამივე მსაჯმა უპირატესობა ჰოპკინსს დაუწერა, რომელმაც ბრძოლის შემდეგ განაცხადა, მინიმუმ კიდევ ოთხი წელიწადი შემიძლია პროფესიულ რინგზე დარჩენაო. ოფიციალურად, ბრძოლა 77 კგ-მდე წონით კატეგორიაში ჩატარდა, რომელიც ქვემძიმე წონაზე თითქმის ორი კილოთი ნაკლებია. მაგრამ, ამის მიუხედავად, ჰოპკინსს ეს გამარჯვება ქვემძიმე წონაში ჩაეთვალა. ოღონდ, IBO-ის ტიტული აშკარად არ შეესაბამება თანამედროვე კრივის გრანდის ამბიციებს. რა თქმა უნდა, ორივე მოკრივისთვის ამ ბრძოლაში ყველაზე მთავარი ის იყო, რომ სახელოვანი მეტოქის დამარცხების შანსი ჰქონდათ.

*"ძალიან ძნელი ბრძოლა იყო. ვინკი ძალიან ძლიერი მეტოქეა და თითქმის არ უშვებს შეცდომებს. მისი დაცვა, პრაქტიკულად, შეუღწევადია. ჰოდა, ამის გამო, ერთგვარ სატყუარას ვიყენებდი - ოდნავ გავიხსნებოდი, როცა ის შეტევაზე გადმოვიდოდა, დაცვაში ყურადღებას ოდნავ ადუნებდა. მეც ამით ვსარგებლობდი"*, - ბრძოლის შემდეგ განაცხადა ჰოპკინსმა (48-4-1, 32 ნოკაუტი).

თითქმის მთელი ბრძოლას განმავლობაში, აგრესორი რაიტი იყო, მაგრამ ჰოპკინსი კარგად იცავდა თავს და როგორც კი მეტოქე ახლო დისტანციაზე მიუახლოვდებოდა, მაშინვე თავისი მარჯვენა მუშტით ცდილობდა კონტრშეტევის განხორციელებას. ბრძოლის მიწურულს, რაიტი (51-4-1, 25 ნოკაუტი) კიდევ იმედოვნებდა, რომ მსაჯები მას უპირატესობას მიანიჭებდენ.

*"ბრძოლა მე მოვიგე. ეს ძალიან ბინძური ბრძოლა იყო. ყველა რაუნდში ბერნარდი ჩემსკენ თავით მოიწევდა, მაგრამ არავინ აფრთხილებდა ამის გამო. ბოლო გონგზე გავიფიქრე, რომ გამარჯვება მე დამრჩებოდა. ეგ არაფერი, ძალიან დაძაბული ბრძოლა იყო და მისი მცირე სხვაობით წაგება არაფერია. მთავარი ისაა, რომ ყველას დავუმტკიცე, რისი თავი მაქვს"*, - განაცხადა რაიტმა, ვისაც მესამე რაუნდში ჰოპკინსმა თავით წარბი გაუხეთქა. დარტყმა იმდენად ძლიერი და მტკივნეული გამოდგა, რომ რაიტმა მეტოქე ხელის კვრით მოიშორა და მერე ჩაიმუხლა კიდეც.

სხვათა შორის, როცა ჰოპკინსი და რაიტი ამ ბრძოლაზე შეუთანხმდნენ ერთმანეთს, მაშინ ბევრი ამბობდა, რომ მათი ჩხუბი მეტად უინტერესო და მოსაბეზრებელი სანახაობა იქნებოდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ორივე მოკრივე დაცვითი სტილით გამოირჩევა. მაგრამ ვარაუდები არ გამართლდა, მაყურებელმა კი შეტევებით და კონტრშეტევებით გაჯერებული, ძალიან საინტერესო ბრძოლა იხილა.

ბრძოლისადმი ინტერესი რომ გაეხურებინათ, მოკრივეებმა ბრძოლის წინ, აწონვის ცერემონიაზე, სახელდახელო ჩხუბი გამართეს, რომლის ინიციატორადაც ჰოპკინსი მოგვევლინა. ფოტოგრაფებისთვის პოზირებისას, მან მეტოქეს ხელი ააფარა და ოდნავ უბიძგა. ამას ორივე ბანაკის მხრიდან საჩვენებელი გაწევ-გამოწევა მოჰყვა. ინციდენტი არც ისე სერიოზულად მოსჩანდა, მაგრამ შტატ ნევადას საათლეტო კომისიამ მაინც დანიშნა ინციდენტის გამოძიება, მის დასრულებამდე კი ჰოპკინსს დროებით ჰონორარის (3 მილიონი დოლარი) ათი პროცენტი დაუკავა.

ასე იყო თუ ისე, ჰოპკინსი კვლავ გამარჯვებულია და ბრძოლის შემდეგ განაცხადა, კრივიდან წასვლას ჯერ არ ვაპირებ და ძალიან გამიხარდება, თუ მომდევნო ჯერზე ჩემს წინაშე ზესაშუალო წონის ჯერაც უძლეველი ლომი, უელსელი **ჯო კალძაგე** დადგებაო. *"შემდეგ მეტოქედ ჯო კალძაგე მსურს. უთხარით მას, რომ ბრძოლაში ვიწვევ. თუ მაგარია შემხვდეს და გპირდებით, ჩემთან ბრძოლის შემდეგ, ის დაუმარცხებელი აღარ იქნება"*, - იმუქრება ჰოპკინსი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ტურნირები

# ჩაკვეტაძის მესამე ტიტული

რუსეთის სახელით მოასპარეზე **ანა ჩაკვეტაძის** ტრიუმფით დასრულდა ცინცინატის ღია პირველობა, რომლის ფინალშიც მან იოლად დაამარცხა იაპონელი **აკიკო მორიგამი** და მიმდინარე სეზონში ვტა-ს მესამე ტიტულს დაეუფლა.

*"ვფიქრობ, ასეთ იოლ გამარჯვებას მხოლოდ იმის წყალობით მივაღწიე, რომ აკიკო გადაღლილი ჩანდა. ის ისე ვერ თამაშობდა, როგორც ფინალამდე. მე კი ბევრი რამ გამომდიოდა"*, - განაცხადა ნამატჩევს ჩაკვეტაძემ, ვინც თამაშის დაწყებისთანავე დაეუფლა უპირატესობას და მეტოქეს ინიციატივის დაუფლების შანსიც არ დაუტოვა.

იაპონელმა, დაღლილობა არაფერ შუაშია, უბრალოდ, ბურთზე კონტროლი არ გამომდიოდა, ასე კი რა თამაში გამომივიდოდაო. *"საწყენია, რომ ფინალი ასე ცუდად ვითამაშე. არადა, მთელი ტურნირი გაცილებით მაღალ დონეზე ჩავატარე"*, - განაცხადა მორიგამიმ, ვინც მთელი ტურნირის განმავლობაში, კორტზე ჩაკვეტაძეზე საათნახევრით მეტი დაჰყო.

ჩაკვეტაძემ თავიდანვე თამაშის აგრესიული სტილი აირჩია და მალე შეძლო მეტოქის სერვისზე ქულის აღება და 3:0 დაწინაურდა. მეორე ბრეკის მან მეექვსე გეიმში მიაღწია და სეტის მოსაგებად სულ რაღაც 26 წუთი იმყოფინა. თამაშის შემდეგ კი ეს აგრესია შემდეგნაირად ახსნა:

*"როცა მორიგამისნაირ მეტოქეს ხვდები, მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყო. თუ ასეთებთან შემტევ სტილში არ თამაშობ, მაშინ ბურთი კორტში უფრო დიდხანს რჩება, რაც მორიგამისთვის მისწრება იქნებოდა. ჰოდა, მეც მერჩივნა, ყოველი ქულისთვის მებრძოლა, რათა მისთვის შანსი არ დამეტოვებინა"*.

ყოველივეს მიუხედაად, მორიგამიმ მეორე სეტის დასაწყისში მაინც გაიბრძოლა - მეტოქის სერვისზე ქულა აიღო და 2:0 დაწინაურდა. მაგრამ მოპოვებული უპირატესობა მაინც ვერ შეინარჩუნა, რადგან ჩაკვეტაძემ მესამე გეიმშივე ბრეიკით უპასუხა და მომდევნოში ანგარიშიც გაათანაბრა. აქედან მოყოლებული, იაპონელს მისთვის რეალური წინაალმდეგობა აღარც გაუწევია.

აღსანიშნავია, რომ მორიგამიმ ცინცინატის ღია პირველობის ფინალში ზედიზედ მეორედ ითამაშა და კვლავ წაგებულმა დატოვა კორტი. შარშან მას ფინალში შვეიცარიელმა **პატი შნიდერმა** მოუგო. ცინცინატიში შეხვედრამდე, ჩაკვეტაძესა და მორიგამის ერთმანეთის წინაალმდეგ სულ სამჯერ უთამაშიათ და სამივე შემთხვევაში (2004 წელს სურბიტონის ბალახზე, 2005 წელს სან დიეგოს ჰარდსა და შარშან, რომის თიხნარზე), გამარჯვება იაპონელს ჰქონდა მოპოვებული.

პარალელურად კი, ლოს ანჯელესის კლასიკურის ფინალში, ჩეხმა **რადეკ სტეპანეკმა** სამსეტიან ბრძოლაში აჯობა თავის ამერიკელ ვიზავი **ჯეიმს ბლეიკს** და ატპ-ს მეორე ტიტულს დაეუფლა.

გადამწყვეტ სეტში, ჩეხმა ორჯერ შეძლო მეტოქის სერვისზე ქულების მოპოვება და ამით განსაზღვრა კიდეც შეხვედრის ბედი. არადა, სტეპანეკს შეხვედრის მსვლელობისას ბარძაყზე მასაჟის გაკეთება დასჭირდა. თუმცა, კორტზე დაბრუნებულს, არც სისწრაფე დაჰკლებია და არც შედეგიანობა.

შეგახსენებთ, რომ შარშან სტეპანეკს კისრის ტრავმის გამო ნახევარი სეზონი გაუცდა. მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ ჩოგბურთელი, ვისაც ერთ დროს რეიტინგში მერვე ადგილიც კი ეკავა, კარიერას ამ ტრავმის გამო დაასრულებდა. მაგრამ ის კორტს მაინც დაუბრუნდა.

გამარჯვების ქულა რომ მოიპოვა, სტეპანეკმა ბრეიკ-დანსის მოკლე სეანსი ჩაატარა, შემდეგ ჩოგანი ტრიბუნისკენ მოისროლა და კორტზე დაემხო. *"წარმოდგენა არ მაქვს, რას ვაკეთებ. უბრალოდ, ემოციებმა მძლია. არ მჯერა, რომ ამ თამაშის მოგება შევძელი. იყო დრო, როცა ვფიქრობდი, რომ ჩოგბურთს ველარასოდეს ვითამაშებდი. ახლა კი ტურნირის გამარჯვებული ვარ. სიტყვებით ჩემი ემოციების გადმოცემა შეუძლებელია"*, - განაცხადა სტეპანეკმა.

**ATP**

**Countrywide Classic**

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 525 000 დოლარი

**ფინალი**

**რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 2) 7:6, 5:7, 6:2

**WTA**

**Western & Southern**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 175 000 დოლარი

**ფინალი**

**ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1)**-აკიკო მორიგამი (იაპ, 7) 6:1, 6:3



**24 ივლისი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:15** ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-შენჟენი (ჩინეთი).
**13:55** საერთაშორისო ტურნირი - Premier League Asia Trophy 2007. პორტსმუთი-ფულჰემი. ჩინეთი (LIVE).
**15:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:10** საერთაშორისო ტურნირი - Premier League Asia Trophy 2007. ლივერპული-საუტ ჩაინა (ჩინეთი). ჩინეთი (LIVE).
**18:10** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**18:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:00** საერთაშორისო ტურნირი - Premier League Asia Trophy 2007. პორტსმუთი-ფულჰემი. ჩინეთი.
**20:45** საერთაშორისო ტურნირი - Premier League Asia Trophy 2007. ლივერპული-საუტ ჩაინა (ჩინეთი). ჩინეთი.
**22:25** Premiere Cup 2007. 1/2 ფინალი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:00** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-სელტა.
**08:49** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**09:02** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-პალერმო.
**10:47** ათასიდან ერთი.
**10:12** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მერსედესის თასი. ფინალი. რაფაელ ნადალი-სტანისლას ვავრინკა. შტუტგარტი. გერმანია.
**13:14** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**13:40** მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
**14:42** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ამერსფორტი. ჰოლანდია.
**16:45** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**17:14** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-დორტმუნდი.
**18:55** ფეხბურთი. Barca TV.
**19:03** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**19:30** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**19:43** ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. დეტროიტი-სან ხოსე.
**21:11** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**21:37** სპორტის ისტორია.
**21:50** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**22:02** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**22:30** ფეხბურთი. გერმანიის ლიგის თასი. ნიურნბერგი-შალკე (LIVE).
**00:25** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**00:38** რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06 წლების სეზონი. 1/2 ფინალი. არსენალი-იუვენტუსი.
**02:19** მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
**03:20** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. მადრიდი. ესპანეთი.
**06:38** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**07:06** სპორტკლუბი.

**EUROSPORT**

**10:30** ექსტრემალური სპორტი.
**11:00** ფეხბურთი. ტურნირის თასი. ლიგენი. საფრანგეთი.
**11:30** ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ედმონტონი. კანადა.
**12:30** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ფინალი. არგენტინა-ჩეხეთი. კანადა.
**14:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი.
**15:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. I დღე. შვეიცარია (LIVE).
**16:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. I დღე. შვეიცარია (LIVE).
**17:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი.
**18:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. I დღე. შვეიცარია (LIVE).
**19:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**19:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. გერმანია-საბერძნეთი. ავსტრია (LIVE).
**21:30** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ფინალი. არგენტინა-ჩეხეთი. კანადა.
**22:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. ესპანეთი-საფრანგეთი. ავსტრია (LIVE).
**00:30** პროფესიული კრივი. მძიმე წონა. დ. ჰაიე (ბრიტანეთი)-ტ. ბონინი (პოლონეთი). ლონდონი. ბრიტანეთი.
**02:00** ფეხბურთი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ფინალი. სერბეთი.
**13:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. პორტუგალია.
**17:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). მე-3 ადგილისთვის. ავსტრია-ჩილე. კანადა.
**18:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ფინალი. არგენტინა-ჩეხეთი. კანადა.
**19:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. I დღე. შვეიცარია (LIVE).
**20:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. I დღე. შვეიცარია (LIVE).
**21:00** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. ჩეხეთი.
**22:45** სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი.
**23:15** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ჩეხეთი.
**00:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ნიურნბურგრინგი. გერმანია.
**00:30** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ნიურნბურგრინგი. გერმანია.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** პრო-რესტლინგი.
**02:15** ახალი ამბები.



| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| შენჟენი-მანჩესტერ იუნ | 0:6 |
| ლიუზაკი-პანზა | 1:2 |
| კოტბუსი-ლიდსი | 2:1 |
| მაკლესფილდი-დერბი | 1:0 |
| **დანია** | |
| ჰორსენსი-მიდტიულანდი | 2:1 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-ტრომსიო | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 0:3 |
| ჰელსინგბორგი-აიკ | 2:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ბუნკეფლო-ააკენი | 1:3 |
| ენჩოპინგი-ფალკენბერგი | 3:2 |
| ლიუნგსკილე-ნორჩოპინგი | 2:1 |
| სილვია-ოსტერსი | 1:0 |
| იონჩოპინგი-იორგრიტე | 2:0 |
| **ფინეთი** | |
| კტპ-ვიიკინგიტი | 1:0 |
| ლაჰტი-მარიეჰამნი | 4:1 |
| **ირლანდია** | |
| შემროკი-სტ. პატრიკსი | 0:0 |
| **უნგრეთი** | |
| მტკ-ვიდეოტონი | 2:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ინდიანაპოლისი** | |
| ბენეტო-**კერი** | 6:7, 1:6 |
| ბატლი-**გირალდო** | 4:6, 1:6 |
| **მელო**-ტომპსონი | 6:4, 3:6, 6:1 |
| სა ანდრე-**ნიშიკორი** | 5:7, 3:6 |
| **ფალა**-ვაითჰაუზი | 7:6, 7:6 |
| **ATP. კიცბუელი** | |
| **კაპდევილე**-არმანდო | 6:0, 6:3 |
| **პატიენსი**-ჰაიეკი | 6:3, 6:2 |
| **კ. როხუსი**-გუჩიონე | 7:6, 7:6 |
| **ჰარტფილდი**-ფიშერი | 5:7, 6:4, 6:2 |
| **ორნა**-ჩარდი | 7:5, 6:3 |
| **ATP. უმაგი** | |
| **ბერლოკი**-მ. გონსალესი | 6:3, 6:4 |
| **ჯოკოვიჩი**-ანდუხარი | 6:1, 6:3 |
| **ჩილიჩი**-მონკური | 3:6, 6:4, 6:1 |
| **WTA. ბად გაშტეინი** | |
| ბენეშოვა-**ბირნეროვა** | 6:7, 3:6 |
| რეზაი-**გალოვიტცი** | 6:3, 3:6, 3:6 |
| **რუანო პასკუალი**-ოჟეგოვიჩი | 6:2, 6:3 |
| ტულიაგანოვა-**რიბარიკოვა** | 3:6, 1:6 |
| დომაჩოვსკა-**კლეპაჩი** | 3:6, 3:6 |
| **პოუს ტიო ლაურა**-გორგეს იულია | 7:6, 7:5 |

ინტერვიუ დევიდ სტერნთან

# ლიგის გადასარჩენად მსხვერპლი უნდა გავიღოთ

**NBA-ში დიდი ამბებია. მსაჯ ტიმ დონაჰიუს გასვრილ რეპუტაციაზე "ლელოს" წინა ნომერში გაუწყეთ და აღნიშნული სკანდალის დეტალებზეც გაგესაუბრეთ. თითქოსდა კრისტალურად სუფთა და უმანკო საკალათბურთო ლიგა ისეთ სკანდალში გაეხვა, რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ხშირად იყო ამა თუ იმ სახეობისა და ლიგის მეგზური. ასოციაციის კომისარმა დევიდ სტერნმა მომხდართან დაკავშირებით რაც განაცხადა, ესეც გაგაცანით, ამჯერად კი ლიგის ხელმძღვანელის ინტერვიუს შემოგთავაზებთ.**

**- მისცა თუ არა გამოძიებას ჩვენება ტიმ დონაჰიუმ?**

- არა, დონაჰიუს ჯერ არ გასაუბრებიან, თუმცა ეს საკითხი დიდი ხნით არ გადაიდება და ჩემი აზრით, ამ დღეებში ბევრი ნიუანსი ტიმისგანვე გახდება ცნობილი. არსებობს უამრავი ფაქტი, რაც მის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, თუმცა მე მაინც ვინარჩუნებ იმის იმედს, რომ ტიმი რაღაც გაუგებრობის მსხვერპლი გახდა.

**- მიუხედავად ამისა, მას ამ ეტაპზე სამსაჯო ლიცენზია ჩამოერთვა.**

- გამოძიება ახალი დაწყებულია და თუ მისტერ დონაჰიუ უდანაშაულო აღმოჩნდება, მას ეგრევე აღუდგება სამსაჯო უფლებები, იქამდე კი, სამწუხაროდ, ტიმ დონაჰიუ ჩვენი დიდი ოჯახის წევრი აღარ არის.

**- FBI-ს აგენტები ყველა კომენტარისთვის თითს თქვენი მისამართით იშვერენ. რატომ?**

- მათ ლიგის კომისარს აუცილებელი მტკიცებულებები მიაწოდეს და აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოძიების მსვლელობის ახალ დეტალებზე საუბრის უფლებას მხოლოდ და მხოლოდ მე ვინარჩუნებ. ვინც დაგვეხმარება, მათ ვინაობას მათივე სურვილით გავაცხადებთ, თუ არა და, ინკოგნიტოს სტატუსს შევუნარჩუნებთ.

**- საუბარია მსაჯზე, ვისაც დევიდ სტერნმა საჯაროდ გადაუხადა მადლობა "დეტროიტისა" და "ინდიანას" მატჩზე განვითარებული მოვლენებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და სიმამაცისთვის. ხალხმა ტიმ დონაჰიუ უკვე სხვა ჭრილში დაინახა.**

- ტიმი იმ შეხვედრისას მართლაც არაჩვეულებრივად მოიქცა. არ მინდა გავიხსენო ის მოთამაშე, რომელიც გულშემატკივრისკენ გამაგრილებელი სასმელის ბოთლით გაექანა (ეს სტივენ ჯექსონი იყო - რედ.), მაგრამ ტიმი თავისი ჯანმრთელობის რისკის ფასად, გულშემატკივარსა და მოთამაშეს შორის ჩადგა. ჩვენ არ ვივიწყებთ იმასაც, რომ დონაჰიუ ბოლო ორი წლის განმავლობაში ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო რეფერი იყო, ვის მიმართაც არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. საწყენია, როდესაც ამდენ დადებითს ერთი უსიამოვნო ფაქტი წამში ფარავს, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჯერ არაფერია დასრულებული.

**- პირველი ბრიფინგისას, თქვენ დონაჰიუსთან მიმართებაში ფრაზა - "სამუდამო დისკვალიფიკაცია" ახსენეთ. გადაწყვეტილება ხომ არ შეგიცვლიათ?**

- არა და არც შევცვლი. ჩვენ ამდენი წლის განმავლობაში ლიგის იმიჯის საუკეთესოდ წარმოჩენისთვის ვიბრძვით და ამდენი პროფესიონალის არაფრად ჩაგდებას არავის ვაპატიებთ.

**- თუ გამოძიებისას დამტკიცდა, რომ დონაჰიუ მაფიასთან თანამშრომლობდა, მაშინ მას თავისუფლების დიდი ხნით აღკვეთაც ემუქრება. ამ შემთხვევაში დაიცავს თუ არა ლიგა და მისი კომისარი რეფერის?**

- ჩვენ უდანაშაულო ხალხს ბოლომდე გვერდში დავუდგებით, ხოლო თუ მისტერ დონაჰიუს არ ეყო ჭკუა და კავშირი შეკრა მათთან, ვისთანაც არანაირი ურთიერთობა არ უნდა ჰქონოდა, ლიგა მას არანაირად არ დაიცავს.

**- იმ მასალებზე რას იტყვით, სადაც დონაჰიუს ფსონი თავისი კოლეგების მიერ განსჯილ შეხვედრებზე აქვს დადებული? დამნაშავეთა ჯაჭვი სადამდე უნდა გაგრძელდეს?**

- დაველოდოთ გამოძიების შედეგებს. ამასთან დაკავშირებით მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- უბრალოდ დაგვეთანხმეთ, რომ ცოტათი რთულია ისეთი მატჩების "გამოცნობა", რომელთა სავარაუდო მიმდინარეობის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გაგაჩნია.**

- სპორტის ნებისმიერ სახეობაში შეიძლება ფული ისეთ მატჩზე მოიგო, რომლის ფავორიტის ამოცნობა, წინასწარ თითქოსდა წარმოუდგენლად მოჩანს. დამთხვევები ხშირია და ვერაფერს გამოვრიცხავ.

**- სკანდალი ჯერ მარტო მსაჯების, უფრო სწორად, ერთი მსაჯის ირგვლივაა, მაგრამ ამ ისტორიაში გაცილებით დიდი კალიბრის მქონე პიროვნებების სახელ-გვარების ამოტივტივებას თუ გამორიცხავთ?**

- კონკრეტულად ვისი?

**- მაგალითად, რომელიმე კალათბურთელის.**

- გამორიცხულია.

**- ლიგის მძლავრი სპონსორებისგან რა შეტყობინება მიიღეთ? რას ფიქრობენ ისინი ამ სკანდალთან დაკავშირებით?**

- არავის არაფერი უთქვამს. ერთ რამეს კი ასი პროცენტით გპირდებით - თუ ლიგის გადასარჩენად მსხვერპლის გაღება გახდა საჭირო, ამას გავაკეთებთ.

**ზურაბ თალაკვაძე**



დევიდ სტერნი (მარცხნივ)





ვინოკუროვს თავდადება დაუფასდა

ტურ დე ფრანსი

# ვინოს რევანში

ყაზახმა **ალექსანდრ ვინოკუროვმა** გუშინ მიმდინარე ტურზე მეორე გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ამის მიუხედავად, ყვითელი მაისურისთვის ბრძოლას მაინც ვერ დაუბრუნდა. ჰოდა, მისი გუშინდელი გამარჯვება მხოლოდ რევანშია წინა დღეს ნაგემი მარცხისთვის, რომლის შემდეგაც, რბოლის ერთ-ერთი ფავორიტის იმედებს ტურის მოგებაზე ხაზი საბოლოოდ გადაესვა.

მაგრამ ვინო მებრძოლი სულისკვეთებით გამოირჩევა და მან გუშინ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მეხუთე ეტაპზე მიღებული, ორივე მუხლის ტრავმა რომ არა, ახლა მოწინავეთა შორის და იქნებ, ყვითელ მაისურში გამოწყობილიც კი იქნებოდა.

ფინიშამდე 15 კილომეტრი და პირველი კატეგორიის სამთო მონაკვეთი (კოლ დე პეირესურდი) რომ რჩებოდა, ვინოკუროვმა გადამწყვეტი იერიში წამოიწყო, რომელიც მოწინავეთა ჯგუფში შემავალი ველომრბოლებისგან პასუხგაუცემელი დარჩა. ამ დროს, მოწინავეთა მცირე ჯგუფს, ყვითელი მაისურის ასევე მცირე ჯგუფი დაახლოებით 6 წუთით ჩამორჩებოდა. ვინომ დარჩენილი მანძილი ეულად განვლო და ასევე ეულად გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მასთან 51 წამი დათმეს ლუქსემბურგელმა **კიმ კირხენმა** და ესპანელმა **აიმარ სუბელდია აგირემ**, რომლებმაც ეტაპი შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილებზე დაასრულეს.

ამ სამეულის ლიდერობა არანაირ საფრთხეს არ უქმნიდა ყვითელი მაისურის მფლობელს, დანიელ **მიქაელ რასმუსენს**, მაგრამ როგორც კი მისი ჩამოტოვება მისმა უახლოესმა მდევარმა (აბსოლუტურ კლასიფიკაციაში), ესპანელმა **ალბერტო კონტადორმა** სცადა, დანიელმა უმალ უპასუხა.

კონტადორმა რამდენჯერმე თითქოს მიაღწია კიდეც მიზანს - რასმუსენი გარკვეულ მანძილზე ჩამოიტოვა, მაგრამ დანიელი ყოველთვის ახერხებდა ჩამორჩენის აღმოფხვრას. ესპანელის აქტიურობამ კი ის შედეგი მოიტანა, რომ აბსოლუტურში დანარჩენი მეტოქეები გუშინდელი ეტაპის შემდეგ კიდევ უფრო მეტად ჩამორჩნენ - 15 ეტაპის შემდეგ, მესამეზე მყოფი ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი** რასმუსენს ზუსტად ოთხი წუთით ჩამორჩება.

*"ალბერტომ რამდენჯერმე ჩამომიტოვა. მაგრამ მე თითოეულ ჯერზე ვახერხებდი დაწევას ის ერთ-ერთი საუკეთესო სამთო სპეციალისტია პრო ტურზე და ვფიქრობ, უზარმაზარი პოტენციალი აქვს. ვიცოდი, რომ თუ აღმართში ჩამოვრჩებოდი, დაშვების დროს პრობლემები შემექმნებოდა. ახლა კი, დარწმუნებული ვარ, რომ თუ მომდევნო სამთო ეტაპზეც შევძლებ კონტადორის სიახლოვის პოზიციის შენარჩუნებას, მაშინ ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ პარიზში ყვითელი მაისურით შევიდე"*, - ნარბოლევს განაცხადა რასმუსენმა.

ლიდერების ყველაზე სახიფათო მეტოქეები, დროზე ინდივიდუალური რბოლების სპეციალისტები, ევანსი და გერმანელი **ანდრეას კლოდენი** არიან. ეს უკანასკნელი გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ლიდერს 5 წუთით და 34 წამით ჩამორჩება, რისი აღმოფხვრაც ერთ რბოლაში პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

და ისევ ვინოკუროვის შესახებ. მან წინა ეტაპზე რასმუსენთან თითქმის ნახევარი საათი წააგო, რის გამოც, წინა ეტაპის (დროზე ინდ. რბოლა) შემდეგ გაჩენილი იმედი კვლავ გადაეწურა. მაგრამ გუშინ პრესტიჟის გამარჯვებისთვის იბრძოლა და მიზანსაც მიაღწია.

*"გუშინ გამძლეობა არ მეყო. რბოლის შემდეგ, საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ჩემთვის ტური დასრულებულია. მაგრამ შემდეგ თანაგუნდელებმა მხარდაჭერა აღმითქვეს და სიტყვა შეასრულეს კიდეც. დღევანდელ გამარჯვებას სწორედ მათ მონდომებას უნდა ვუმადლოდე. მომდევნო ეტაპიდან კი ვალების დაბრუნება მომიწევს და გპირდებით, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ კლოდის პოზიციის გაუმჯობესებაში დავეხმარო"*, - ვისაც კარიერის განმავლობაში, ფრანგულ ტურზე უკვე ხუთი გამარჯვება აქვს მოპოვებული.

დღეს ტურის მონაწილეებს დასვენების დღე აქვთ, შემდეგ კი ველომარათონის ურთულესი ეტაპის გავლა მოუწევთ, რომელზეც პირველი კატეგორიის ორი და ამდენივე უმაღლესი კატეგორიის სამთო მონაკვეთი იქნება გასავლელი. ფინიშიც სამთოა - ლეგენდარული კოლ დ'ობისკის მთაზე. დაკიდევ, ცოტა ხნით, ველომრბოლები ესპანეთს ეწვევიან.

ამ ეტაპზე, რასმუსენი და კონტადორი დროზე ინდივიდუალური რბოლების სპეციალისტთა კიდევ უფრო შორს მოტოვებას ეცდებიან, ესპანელი კი დანიელთან აბსოლუტურში ჩამორჩენის შემცირებასაც ეცდება...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მე-15 ეტაპი.
ფოისიდან ლუდენვილამდე (196 კმ)

1. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 5:34.28 (35.160 კმ/სთ); 2. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი) 0.51; 3. აიმარ სუბელდია აგირე (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.51; 4. ხუან ხოს კობო ასებო (ესპანეთი, სონიე დიუვალ-პროდირი) 0.58; 5. ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 2.14; 6. დავიდ აროიო დურანი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 3.23; 7. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 4.25; 8. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, CSC) 4.25; 9. ლუდოვიკ ტურპენი (საფრანგეთი, AG2r პრევოიანსი) 5.16; 10. ალბერტო კონტადორ ველასკო (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 5.31; 11. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 5.31; 12. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 5.47; 13. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 6.27...

კლასიფიკაცია 15 ეტაპის შემდეგ

1. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 69:52.14; 2. ალბერტო კონტადორ ველასკო (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 2.23; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 4.00; 4. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 5.25; 5. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 5.34; 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 6.46; 7. აიმარ სუბელდა აგირე (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 7.27; 8. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) 7.54; 9. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი) 8.24; 10. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 9.21... 23. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 28.21...

სპორტული გაზეთი
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა